ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

კერძო სამართლის მიმართულება

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

**ონლაინ არბიტრაჟის როლი ბიზნეს დავებში**

**თემის ავტორი:** ზაზა ჭადაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ: 555 470883, ელ. ფოსტა: zazatchadashvili@yahoo.com

**თემის ხელმძღვანელი:** გიორგი ცერცვაძე, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

**თბილისი**

**2019წ.**

**აბრევიატურები:**

იხ. - იხილეთ

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.ი. - ესე იგი

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

კონვენცია - ნიუ იორკის კონვენცია

Model Law - გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის მოდელური კანონი

AI – Artificial Intelligence

ODR – Online dispute resolution (დავის ონლაინ გადაწყვეტა)

ADR – Alternative dispute resolution (დავის ალტერნატიული გადაწყვეტა)

NYC – New York Convention

UNCITRAL – გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია

AAA – American Arbitration Association

ICT – Information and Communication Technology (ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიები)

EAC – European Arbitration Chamber

## Contents


I. შესავალი ..... 5

II. დავების ონლაინ გადაწყვეტა და მისი სახეები ..... 10

III. ონლაინ არბიტრაჟის დეფინიცია და მისი ძირითადი მახასიათებლები ..... 13

IV. საარბიტრაჟო შეთანხმება ონლაინ არბიტრაჟის შესახებ ..... 17

1. შეთანხმების აუცილებელი პირობები ..... 18

2. შეთანხმების შინაარსი ..... 19

3. გადასაწყვეტი დავები ..... 20

4. არბიტრის არჩევა ..... 21

5. არბიტრაჟში გამოსაყენებელი ელექტრონული მექანიზმების არჩევა ..... 22

6. პროცესი ..... 23

7. არბიტრაჟის ჩატარების ადგილი ..... 23

V. ონლაინ არბიტრაჟის პროცესი ..... 24

1. საბაზისო პროცედურული წესები ..... 24

2. თავდაცვის შესაძლებლობა ..... 25

3. მტკიცებულების წარდგენა ..... 26

4. დროებითი ზომების მიღება ..... 27

VI. ონლაინ არბიტრაჟის გადაწყვეტილება და მისი აღსრულება ..... 28

1. არასავალდებულო გადაწყვეტილება ..... 31

2. სავალდებულო გადაწყვეტილება ..... 33

VII. დავების ონლაინ გადაწყვეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები ..... 37

1. დავების ონლაინ გადაწყვეტის დადებითი მხარეები: ..... 38

1.1 დროის დაზოგვა ..... 38

1.2 პროცესის მოხერხებულობა ..... 39

1.3 ხარჯების შემცირება ..... 40

1.4 პროცედურების კონტროლის საშუალება დაინტერესებული მხარეების მიერ ..... 40

1.5 შედეგებზე კონტროლი ..... 41

1.6 კანონზომიერება ..... 41

2. დავების ონლაინ გადაწყვეტის უარყოფითი მხარეები: ..... 42

2.1 პირდაპირი კონტაქტის უქონლობა ..... 42

2.2 ტექნოლოგიური პრობლემები ..... 43
2.3 ენის ბარიერი ..... 44
2.4 სამართლებრივი სირთულეები ..... 45
2.5 გუნდური თანხმობის საჭიროება ..... 45
2.6 სახალსო წვდომის არარსებობა ..... 46
VIII. საქართველოში არსებული საკანონმდებლო რესურსი არბიტრაჟის ინსტიტუტთან დაკავშირებით. ..... 46
1. ნიუ იორკის კონვენცია ..... 47
2. საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ ..... 48
3. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ ..... 49
IX. ონლაინ არბიტრაჟი და ელექტრონული კომერცია ..... 50
X. ონლაინ არბიტრაჟის პერსპექტივა ..... 55
XI. დასკვნა ..... 57
ბიბლიოგრაფია ..... 59

# ონლაინ არბიტრაჟის როლი ბიზნეს დავებში

## I. შესავალი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ონლაინ არბიტრაჟის როლს ბიზნეს დავებში. ყურადღება გამახვილებული იქნება იმ დეტალებზე, თუ რა ცვლილებების შეტანა შეუძლია ონლაინ არბიტრაჟს ბიზნეს სამყაროში, რატომ არის აღნიშნული ინსტიტუტი ახალი სიტყვა დღევანდელი მოცუმულობით და რა პროცედურებთან არის დაკავშირებული ამ ინსტიტუტით სარგებლობა. ასევე საუბარი იქნება მის დადებით და უარყოფით მხარეებზე, სამომავლო პერსპექტივაზე და ონლაინ არბიტრაჟის, როგორც დავის გადაწყვეტის საშუალების ეფექტურობაზე. საუბარი მექნება იმ ტენდენციებზე და გამოწვევებზე, რომლებიც დღის წესრიგში დააყენა ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების განვითარებამ. ნაშრომის შესავალ ნაწილში ვისაუბრებ საკითხის აქტუალობაზე, კვლევის ფარგლებზე, კვლევის მეთოდებზე და ასევე მიმოვიხილავ ნაშრომის სტრუქტურას.

### i. საკითხის აქტუარულობა

სანამ ნაშრომის ძირითად ნაწილზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა როლი აქვს ონლაინ არბიტრაჟს ბიზნეს სამყაროში და რატომ არის ეს ინსტიტუტი შესასწავლად აქტუალური საკითხი. მსოფლიოს ისეთი ქვეყნები, რომლებიც აქტიურად ცდილობენ დანერგონ ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების გამოყენება სხვა და სხვა სფეროებში რიგი პროცედურების გასამარტივებლად, დაინტერესებულები არიან მიაგნონ დავის გადაწყვეტის ისეთ საშუალებებს, რომლებიც იქნებიან როგორც მომხმარებლებისთვის დროისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის საშუალებები, ასევე ეფექტური და დახვეწილი ინსტიტუტები, რომლებსაც ექნებათ საშუალება მომხმარებლებს შეთავაზონ რეალური მექანიზმი დავის მოგვარებისა, ისეთი რესურსით, რომ კონკურენცია გაუწიოს დავის მოგვარების ტრადიციულ მეთოდებს, იქნება ეს სასამართლო სისტემები, თუ დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებები ოფლაინ სერვისები. რა თქმა უნდა ესეთი ქვეყნების რიგებში არის საქართველოც, რომელიც ყოველთვის პროდუქტიულად ითვისებდა

ელექტრონულ საშუალებებს და ნერგავდა სხვადასხვა სფეროებში. დღევანდელი რეალობა არის უტყუარი დამადასტურებელი იმისა, თუ როგორ შეიძლება ინფორმაციული ტექნოლოგიების პრაქტიკაში რეალიზება ისე, რომ შეძლოს ღირსეული განვითარების წინაპირობების შექმნა საზოგადოებაში.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში და შექმნა ინდეალური საფუძველი ახალი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისთვის, რაც რიგ შემთხვევებში მოხდა უკვე არსებულის გაუმჯობესების სახით და რიგ შემთხვევებში კი ADR-ის და ICT-ს სინთეზის ბაზაზე შეიქმნა აბსოლუტურად დამოუკიდებელი და შინაარსობრივად მეტწილად განსხვავებული მექანიზმები, რომელთა შექმნის ძირითადი მიზანიც ტრადიციული მეთოდების შესაძლებლობების ახალ საფეხურზე აყვანა გახლდათ. ეს არ იყო მარტივი პროცესი და აღნიშნული ინტერნეტის გამოჩენისთანავე (1969 წელს პირველად გაეშვა ინტერნეტი ფართო ქსელში) არ იყო ეფექტური და მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის თითქმის სამი ათეული წელი დასჭირდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყებს მსოფლიო მზადებას ელექტრონული და ინტერნეტ სამართლის საკანონმდებლო ბაზის შექმნისთვის. 1990–იანი წლების მიწურულსა და 2000–იანი წლების დასაწყისში ჩნდება ისეთი ტერმინები, როგორიცაა ინტერნეტ სამართალი, ელექტრონული კომერციის სამართალი და სხვა. ასევე, ჩნდება ისეთი აქტები როგორიცაა, ევროპის კავშირის 2000 წლის ელექტრონული კომერციის დირექტივა (Electronic Commerce Directive) და ელექტრონული კონფიდენციალურობის დირექტივა (ePrivacy Directive), ამერიკის შეერთებულ შტატებში კი 1996 წლის აქტი საავტორო უფლებების შესახებ ციფრულ ეპოქაში (Digital Millennium Copyright Act) და 2003 წლის CAN-SPAM აქტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტნაკლებად ყველაზე უნიფიცირებული კანონიც მოცემულ პერიოდში იქნა მიღებული, კერძოდ კი, 1998 წლის მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ (UNCITRAL Model Law on Electronic Commerce).

ზემოთხსენებულმა მოვლენებმა შექმნა იდეალური წინაპირობა და შესაძლებლობა ონლაინ არბიტრაჟის ჩამოყალიბებისთვის. თანამედროვე რეალობაში ხშირად გავიგებთ ფრაზას „დრო ფულია“ რაც თავისთავად დროის აბსოლუტურად ადეკვატური შეფასებაა და ნებისმიერი ახალი შესაძლებლობა დროის დაგოზვისა და ეფექტურად მართვისთვის არის აუცილებლად გამოსაყენებელი. დღევანდელ რეალობაში კომერციული დავების წარმოება დაკავშირებულია უამრავ ტექნიკურ პრობლემებთან,

მოითხოვს ხშირად არაადეკვატური ფულადი თუ დროის რესურსის დახარვას და პრაქტიკაში არ არის უცხო ისეთი მაგალითები, როდესაც საერთოდ დავის წარმოება აზრს კარგავს. ლოგიკურია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულმა გზებმაც პოვეს ადგილი ინტერნეტ სამყაროში და საკმაოდ ეფექტურად მოახდინეს ახალი რესურსის ათვისება და მორგება. დღესდღეობით ონლაინ არბიტრაჟი საკმაოდ ფართო ინდუსტრიას მოიცავს და უამრავი უპირატესობა გააჩნია ტრადიციულ მეთოდებთან მიმართებაში, რასაც ნაშრომის მიმდინარეობისას დეტალურად განვიხილავთ.

## ii. კვლევის ფარგლები

ნაშრომში განხილული იქნება ონლაინ არბიტრაჟი, როგორც დავის ონლაინ გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება. ყურადღება გამახვილებული იქნება იმ პერსპერქტივაზე, რასაც აღნიშნული ინსტიტუტი მოიცავს და ვისაუბრებთ იმ სიკეთეებზე, რომლის მოცემაც შეუძლია ონლაინ არბიტრაჟს საზოგადოებისთვის. ვისაუბრებთ ამ პერსპექტივის არსებობის წინაპირობებზე და იმ მოსალონდელ შედეგებზე, რომლებიც ონლაინ არბიტრაჟის დანერგვას და განვითარებას მოყვება. თავის მხრივ, გამოვყოფთ ონლაინ არბიტრაჟის დადებით და უარყოფით მხარეებს, რათა პოტენციურ მომხმარებლებს წარმოდგენა შეექმნათ, თუ რა სახის პლატფორმასთან გვაქვს საქმე და რეალურად რის ხარჯზე შეიძლება ვუწოდოთ აღნიშნულ ინსტიტუტს ეფექტური და უპირატესი სხვა ტრადიციულ თუ ონლაინ საშუალებებთან მიმართებაში. ასევე შევეხებით ონლაინ არბიტრაჟის პრაქტიკაში მოქმედების საფეხურებს და ყველა იმ დეტალს, რომელიც საჭიროა იცოდეს პოტენციურმა მომხმარებელმა, სანამ გადაწყვეტს ზემოთხსენებული სერვისის გამოყენებას.

განხივილავთ თუ რა სამართლებრივი რეგულაციები არსებობს ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტთან მიმართებაში და შევეხებით იმ საერთაშორისო კანონებს, რომლების შედეგადაც ხდება ონლაინ არბიტრაჟის მიერ შემოთავაზებული სიკეთეების პრაქტიკაში რეალიზება. შესწავლის საგანი ძირითადად იქნება გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის პრაქტიკა, გაეროს მოდელური კანონი და ნიო იორკის კონვენცია.

ასევე ყურადღება დაეთმობა ონლაინ არბიტრაჟის პროცესის შესაძლო რეზულტატებს და ვეცდებით დავადგინოთ რა არის მისი საერთაშორისო ასპარეზზე პოპულარულობის მიზეზი.

## iii. კვლევის მეთოდი

საერთაშორისო ბაზარზე არსებობს ის სამართლებრივი რეგულაციები, რომლებიც გამოიყენება ონლაინ არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად, პირველ რიგში ესეთ დოკუმენტად გვევლინება ნიუ იორკის კონვენცია და მასთან ერთად მსგავსი სახის აქტები, როგორებიცაა მაგალითად: გაეროს მოდელური კანონი და სხვა. ეს რეგულაციები ქმედუნარიანი გახლავთ თანამედროვე მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში, რომლებიც არიან კონკრეტული აქტების ხელშემკვრელი წევრები, რასაკვირველია მათ რიგში შედის საქართველოც. განხივილავთ თუ რისი მოცემა შეუძლია ჩვენთვის ამ რეგულაციებს და რამდენად ეფექტურია მათი მოქმედება პრაქტიკაში. მათი შესწავლა მოგვცემს შესაძლებლობას მივიღოთ საჭირო ინფორმაციები ჩვენთვის საინტერესო ინსტიტუტის შესახებ.

მოხდება ასევე სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შედარებითი ანალიზის გაკეთება და ონლაინ არბიტრაჟის პრაქტიკული მახასიათებლების შესწავლა. ყურადღება ასევე გამახვილებული იქნება იმ კონკრეტულ პრაქტიკებზე და მიდგომებზე, რომლის შედეგადად ფაქტიურად შეუჩერებელ რეჟიმში ხდება იმ არეალის ზრდა, სადაც ონლაინ არბიტრაჟი არის მიღებული, პოპულარული და ხშირად გამოყენებული.

შევეხებით იმ ავტორიტეტული ორგანიზაციების მიდგომებს ინფორმაციული ტექნოლოგიების თავიანთ სისტემაში დანერგვასთან დაკავშირებით, რომელთა საქმიანობადაც რეალურად გამომდინარეობს დავის გადაწყვეტილს ალტერნატიული საშუალებების ფუნდამენტური საფუძვლები და რომლებიც ახორციელებენ აღნიშნული ინსტიტუტების განვითარებასა და დახვეწას.

რა თქმა უნდა ასევე მიმოვიხილავთ საქართველოში არსებულ საკანონმდებლო რესურსს არბიტრაჟის ინსტიტუტთან მიმართებაში.

### iv. თემის სტრუქტურა

ნაშრომი დაყოფილია თერთმეტ ძირითად თავად.

პირველი თავი ეთმობა შესავალს, რომელშიც განხილულია საკითხის აქტუალურობა, კვლევის ფარგლები, კვლევის მეთოდი და თემის სტრუქტურა.

მეორე თავში მოცემულია დავების ონლაინ გადაწყვეტის დეფინიცია და საუბარი მის სახეებზე, რაც ქმნის ზოგად სურათს ODR-ის ინსტიტუტის დღევანდელ მდგომარეობაზე.

მესამე თავში საუბარია საკუთრივ ონლაინ არბიტრაჟის დეფინიციაზე, რაც ქმნის წარმოდგენას, თუ კონკრეტულად რა ინსტიტუტზე ვაწარმოებთ კვლევას და რატომ არის საინტერესო აღნიშნული საკითხის შესწავლა.

მეოთხე თავში განხილულია ყველა ის წინაპირობა და შემდგომ დადებული პირობები, რომლებიც აუცილებელია სახეზე იყოს ონლაინ არბიტრაჟის შეთანხმების დოკუმენტში, რათა მხარეებს შესაძლებლობა მიეცეთ პოტენციური დავის წარმოშობის შემთხვევაში ისარგებლონ აღნიშნული სერვისით.

მეხუთე თავში საუბარია არბიტრაჟის პროცესზე, იმ დეტალებზე, რომლებიც აუცილებელია შესწავლილ იქნას ონლაინ არბიტრაჟის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენებისთვის.

მეექვსე თავი დათმობილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხებისთვის, რაც გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი კვლევის ეტაპზე, რადგან ონლაინ არბიტრაჟი ODR-ის სხვა სერვისებისგან განსხვავებით აღწურვილია განსაკუთრებული მექანიზმით, რომელიც მოიაზრებს სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებას პროცესის შედეგად, რაც გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მახასიათებელი ონლაინ არბიტრაჟისა ODR-ის სხვა სერვისების მიმართ.

მეშვიდე თავში საუბარია ODR-ის დადებით და უარყოფით მხარეებზე, ასევე გამოყოფილია ცალკე მსჯელობა ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტზე და განხილულია ისეთი მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება ონლაინ არბიტრაჟისთვის გახლდეთ დადებითი, ხოლო ODR-ის სხვა სერვისთვის უარყოფითი, ამ თავში ძირითადი მსჯელობა მიმართულია ინსტიტუტის ეფექტურობაზე, თუ რატომ არის იგი პოპულარული და უპირატესი სხვა ტრადიციულ მეთოდებთან მიმართებაში და რატომ უნდა გაუჩნდეს მომხმარებელს სურვილი მისით სარგებლობისა. რომელი რესურსების დაზოგვას შეძლებს ონლაინ პლატფორმის ხარჯზე და რა სირთულეებს შეიძლება გადააწყდეს მისი გამოყენებისას პრაქტიკაში.

მერვე თავში განვიხილავთ იმ საკანონმდებლო რესურსს, რომელიც გვაქვს საქართველოში აღნიშნულ ინსტიტუტთან დაკავშირებით და რის ხარჯზეც ხდება არბიტრაჟით სარგებლობა მომხმარებლების მიერ, ასევე იმ ადგილობრივ ცვლილებებს და საერთაშორისო აქტებთან დამოკიდებულებებს, რომლებიც ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში ზემოთხსენებული რესურსის განვითარების შედეგად.

მეცხრე თავში განხილულია ონლაინ არბიტრაჟის დამოკიდებულება ელექტრონული კომუნიკაციების მიმართ, რა პროცესები განვლო განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ელექტრონულმა კომერციაც და რა ზეგავლენა იქონია ამ პროცესებმა ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტის დახვეწაში.

მეათე თავში ვისაუბრებთ ონლაინ არბიტრაჟის პერსპექტივაზე, რა წინაპირობებზე არის დამყარებული მისი მომავალი პოტენციური განვითარება და დახვეწა, რა პერსპექტივა გააჩნია საზოგადოებაში ამ ინსტიტუტის დანერგვას და რას შესძენს ახლო მომავალი ონლაინ არბიტრაჟს ეფექტურობის მხრივ.

მეთერთმეტე თავში მოცემულია ნაშრომის დასკვნა და განხილულია რისი დადგენა მოხერხდა კვლევის შედეგად, ასევე საუბარია ავტორისეულ ხედვებზე და შეჯამებულია ნაშრომი.

## II. დავების ონლაინ გადაწყვეტა და მისი სახეები

დღესდღეობით დავის ონლაინ გადაწყვეტა არის ფართოდ გამოყენებადი ტერმინი, რომელიც შეუძლებელია განიმარტოს ერთი კონკრეტული ისეთი დეფინიციით, რომელიც მოიცავს მის ყველა ფორმულირებას. ზოგადი სახით შეიძლება ითქვას, რომ ODR შესაძლებელია განვმარტოთ ისე, როგორც ინტერნეტ საშუალებების გამოყენება დავის გადაწყვეტაში და გადაწყვეტის მეთოდებში ვიგულისხმოთ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიერ შემოთავაზებული სერვისები, რომლებიც ძირითადად გულისხმობს: მოლაპარაკებას, მედიაციასა და არბიტრაჟს[1]. თუმცა, დავის სახეობის მიხედვით, შეგვიძლია მოვახდინოთ ODR-ის კლასიფიკაცია რამოდენიმე განხრით, მაგალითად შესაძლოა ODR დავუკავშიროთ ისეთ დავებს, რომლებიც წარმოიშვა ონლაინ სფეროში ან ისეთ დავებს რომლებიც წარმოიშვა ოფლაინ სფეროში, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო იყენებს ონლაინ საშუალებებს დავის გადაწყვეტის ეტაპზე. ასევე არსებობს განსხვავება ეგრედწოდებულ „ჰიბრიდულ“ ODR-სა, რომელიც იყენებს როგორც ადამიანურ, ისე ტექნოლოგიურ რესურსს და ODR-ს შორის, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია მხოლოდ პროგრამულ უზრუნველყოფაზე[2]. ტომას შულცის მიერ 2004 წელს შემოთავაზებული

[1] Kori Clanton "We are not who we pretend to be: ODR alternatives to online impersonation statutes" გვ.323.
[2] Robert J Condlin “Online Dispute Resolution: Stinky, Repugnant, or Drab" გვ.15.

სტატიის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს უამრავი პროცედურები და სერვისები, რომლებსაც შეიძლება ეწოდოს ODR[3]. ეს პროცედურები მოიცავს როგორც მედიაციისა და არბიტრაჟის სხვადასხვა სახის სერვისებს, ასევე ონლაინ სისტემაში არსებულ უამრავ პლატფორმას, რომელიც დავის გადაწყვეტის ეტაპზე გამოყენებულია როგორც კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი საშუალება და შესაბამისად, ხდება მათი ჩარიცხვა ODR-ის რიგებში, ესეთები შეიძლება იყოს: მომხმარებლების ჩივილის ე.წ. დაფები, მხარეებს შორის მოლაპარაკებისთვის განკუთვნილი მექანიზმები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, საკრედიტო ბარათებიდან გაწეული ხარჯების უკან დაბრუნების საშუალებები და ა.შ.

რათქმაუნდა ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად მსგავსი ტიპის პროცედურებიც გაფართოვდა და შესაბამისად ODR-ისთვის განკუთვნილი ინტერნეტ პრატფორმების უამრავი სხვა საშუალებაც გაჩნდა ვირტუალურ სამყაროში.

ტერმინი ODR-ის გამოყენება პირველად მოხდა 90იანი წლების მეორე ნახევარში, კერძოდ 1996 წელს, როდესაც გამოიცა პირველი სტატია ODR-ის შესახებ და მოხდა პირველი კონფერენციის ჩატარება, რომელიც დაკავშირებული იყო ODR-ის თემასთან[4]. პირველ ეტაპზე ODR განსაზღვრული იყო ისეთი კონფლიქტების გადასაწყვეტად, რომლებიც დაიწყო ონლაინ რეჟიმში და ეს ყოველივე გამოწვეული გახლდათ ონლაინ სერვისების მომხმარებლების ზრდის შედეგად, რაც თავის მხრივ ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია[5]. 2004 წელს კი მოხდა ODR-ის ისეთი დეფინიციის გაჟღერება, რომელიც ნათლად ასახავდა, თუ რას ნიშნავდა ეს ტერმინი მისი წარმოქმნისა და განვითარების საწყოს ეტაპებზე[6]:

ODR არის დავის გადაწყვეტის პროცესი, რომელიც ძირითადად მიმდინარეობს ონლაინ რეჟიმში. ეს მოიცავს არამხოლოდ დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს, არამედ კიბერსასამართლოებსაც. სხვა სიტყვებით შეიძლება ითვქვას, რომ ODR გულისხმობს მოლაპარაკებას, მედიაციას, არბიტრაჟს და იმ სასამართლო პროცედურებს, რომლების წარმოებაც ხდება ონლაინ რეჟიმში.

---

[3] Thomas Schultz "Does Online Dispute Resolution Need Governmental Intervention? The Case for Architectures of Control and Trust" გვ.73.

[4] Ethan Katsh “ODR: A Look at History – A Few Thoughts About the Present and Some Speculation About the Future” in Mohamed S Abdel Wahab, Ethan Katsh and Daniel Rainey (Eds) Online Dispute Resolution: Theory and Practice. A Treatise on Technology and Dispute Resolution გვ.21

[5] იხ. იქვე.

[6] Thomas Schultz "Does Online Dispute Resolution Need Governmental Intervention? The Case for Architectures of Control and Trust" გვ.74

რა საკვირველია განვითარების ამ ეტაპზე, ODR ძირითადად გულისხმობდა, აწ უკვე არსებული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების პროცედურების ონლაინ რეჟიმში ჩატარებას და არა კიბერ სივრცის გამოყენებას რაიმე ახალი სტილისა თუ მექანიზმის დანერგვაში. მაგალითად, ონლაინ მედიაციასა და ოფლაინ მედიაციას შორის ერთადერთ მნიშვნელოვან სხვაობამ შეიძლება მხოლოდ ის ჩაითვალოს, რომ ონლაინ მედიაციის დროს ხდება ინტერნეტ საშუალებების გამოყენება პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე.

ODR-ის ერთერთი ყველაზე ადრეული მასიური გამოყენება პრაქტიკაში მოხდა 1999 წელს, როდესაც Ebay-იმ შექმნა ონლაინ მედიაციის სერვისი, რომელიც გამოიყენებოდა დავების მოგვარებისათვის მყიდველებსა და გამყიდველებს შორის. Ebay როგორც ონლაინ მარკეტი დაარსა 1995 წელს, შემდგომ როდესაც იზრდებოდა დავების რაოდენობა საიტის მომხმარებლებს შორის, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა შეექმნა ონლაინ პლატფორმა დავების გადასაწყვეტად და ამისათვის გამოიყენა ერთ-ერთი ინტერნეტ სტარტაფ კომპანია სახელად SquareTrade[7].

ODR-ის ადრეული ფორმები რა თქმა უნდა გახლდათ ბევრად მარტივი ფორმის, გამომდინარე იქიდან რომ დროის იმ პერიოდში AI (Artificial Intelligence) არსებობდა ძალიან ლიმიტირებული შესაძლებლობების ფორმებში, ასევე დაბალი იყო ტექნოლოგიური განვითარების დონე და საზოგადოების მხრიდან ინტერნეტის ათვისებისა და ფლობის დონეც საკმაოდ დაბალი გახლდათ. ODR ადრეული სახეების დეფინიციებს თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ODR ძირითადად გულისხმობდა პროგრამული უზრუნველყოფისა და ინტერნეტ საშუალებების გამოყენებას კომუნიკაციისთვის დავის გადაწყვეტის პროცესში. შესაბამისად, ODR-ს არ ქონდა რაიმე განსაკუთრებული შინაარსობრივი დატვირთვა და ტექნოლოგიები წარმოადგენდა მხოლოდ აღჭურვილობის სახეობას კომუნიკაციის დროს, რომელსაც არ გააჩნდა ძირითადი როლი ან დანიშნულება დავის გადაწყვეტისთვის[8]. დროთა განმავლობაში, ადრეულ სისტემებთან შედარებით, ძალიან დიდი ტემპითა და შედეგებით მოხდა ODR-ის განვითარება და დღესდღეობით მისი დეფინიცია მოითხოვს ბევრად უფრო ფართო და კომპლექსურ განმარტებას, ვიდრე უბრალოდ ხელსაწყო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის დავის გადაწყვეტის დროს.

---

[7] Ethan Katsh "ODR: A Look at History – A Few Thoughts About the Present and Some Speculation About the Future" in Mohamed S Abdel Wahab, Ethan Katsh and Daniel Rainey (Eds) Online Dispute Resolution: Theory and Practice. A Treatise on Technology and Dispute Resolution გვ.27

[8] Davide Carneiro and others, Online dispute resolution: an artificial intelligence perspective (2014წ.) 41(2) Artificial Intelligence Review გვ.211.

როგორც ვხედავთ, ODR-ის ერთ-ერთი სახე ადრეულ ეტაპზევე გახლდათ არბიტრაჟი და ჩვენი ინტერესის სფეროს მიმდინარე ნაშრომში წარმოადგენს სწორედ ონლაინ არბიტრაჟი. კვლევისას საუბარი გვექნება ძირითადად ODR-ის მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი სერვისის, ონლაინ არბიტრაჟის შესახებ და გავამახვილებთ ყურადღებას მის როლზე, მნიშვნელობაზე, ეფექტურობაზე და პერსპექტიულობაზე ბიზნეს დავებში.

## III. ონლაინ არბიტრაჟის დეფინიცია და მისი ძირითადი მახასიათებლები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ონლაინ არბიტრაჟი არის დავების ონლაინ გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება.

უფრო კონკრეტულად, ონლაინ არბიტრაჟი არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მხარეებს ორმხრივი თანხმობის საფუძველზე შეუძლიათ დავის გადაცემა არასამთავრობო დაწესებულებისათვის, რომელსაც ირჩევენ თვითონ მხარეები, რათა მოხდეს სავალდებულო, არასავალდებულო ან ცალმხრივად სავალდებული გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც გადაწყვეტს დავას ნეიტრალური პროცესების გათვალისწინებით [9] . აღნიშნულის ტერმინის დასახელებიდან ცალსახაა, რომ დავის გადაწყვეტისას მიმდინარე პროცედურები ხორციელდება ონლაინ რეჟიმში[10], თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ონლაინ არბიტრაჟის მიმდინარეობის დროს, სავალდებულო ხასიათს ატარებს აბსოლუტურად ყველა პროცედურის ონლაინ რეჟიმში ჩატარება, ონლაინ არბიტრაჟის პროცესი შეიძლება განხორციელდეს როგორც, სრულიად ონლაინ, ასევე ნაწილობრივ ონლაინ რეჟიმშიც ინტერნეტ ტექნოლოგიის გამოყენებით[11].

ცხადია, ონლაინ არბიტრაჟი არ არის უბრალოდ ტრადიციული არბიტრაჟისა და ონლაინ კომუნიკაციების კომბინაცია, მაგრამ ონლაინ არბიტრაჟის განმარტების იდეალური ვარიანტის მისაღებად, ასევე მნიშვლეოვანია გავითვალისწინოთ ტრადიციული არბიტრაჟის განმარტების შემადგენელი ელემენტები, რადგან სწორედ ეს ინსტიტუტი გახლავთ ონლაინ არბიტრაჟის

---

[9] F. Badiei, Georgia Institute of Technology, Using Online Arbitration in E-Commerce Disputes, A Study on B2B, B2C and C2C Disputes, 2015წ. გვ.89.

[10] Derric Yeoh (Schellenberg Wittmer), "Is Online Dispute Resolution The Future of Alternative Dispute Resolution?" – Online Arbitration, 25 მარტი, 2015წ. გვ.2.

[11] Farzaneh Badiei, Online Arbitration Definition and Its Distinctive Feature, Genève, Switzerland გვ.92.

წინაპირობედი და ერთგვარი წინაპარი, სწორედ მის საფუძველზე მოხდა უფრო მოდერნიზებული და განსხვავებული მექანიზმის შექმნა[12]. ონლაინ არბიტრაჟი პირდაპირი გაგებით ტრადიციული არბიტრაჟისა და ონლაინ კომუნიკაციების კომბინაცია რომ იყოს, ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ტრადიციულ არბიტრაჟთან, რომლებიც აღჭურვილი იქნებოდა ონლაინ ტექნოლოგიებით და რეალურად მისი არსი და ძირითადი შემადგენელი ელემენტები უცვლელი დარჩებოდა, რაც ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტის შესწავლას ნაკლებ საინტერესოს გახდიდა. ონლაინ არბიტრაჟსა და ტრადიციულ არბიტრაჟს შორის ფუნდამენტური განსხვავებები არსებობს და სწორედ ეს განსხვავებები განაპირობებს ონლაინ არბიტრაჟის განსხვავებულ დეფინიციას. ტექნოლოგიურმა განვითარებებმა საგრძნობლად შეცვალეს ტრადიციული არბიტრაჟის პრაქტიკა და პროცედურები [13] . ნაშრომის სხვადასხვა ნაწილებში ბევრჯერ დავრწმუნდებით იმ განსხვავებების რეალურობაში, რომელიც ამ ორ ინსტიტუტს შორის არსებობს.

საზოგადოებაში დამკვიდრებულია მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ ონლაინ არბიტრაჟი არის არბიტრაჟის ისეთი სახე, რომელიც მხოლოდ ონლაინ სივრცეში წარმოქმნილი დავების გადასაწყვეტადად გამოიყენება, ამ შემთხვევაში ონლაინ არბიტრაჟის გამოყენების არეალი საკმაოდ შეზღუდული და კონკრეტული ხასიათის მატარებელი იქნებოდა. ეს ყოველივე რათქმაუნდა არ შეესაბამება სიმართლეს და ონლაინ არბიტრაჟისთვის არ არის საინტერესო დავის წარმომავლობა. ხშირად, ონლაინ არბიტრაჟისთვის განსახილველი დავა ოფლაინ რეჟიმში, რეალურ სამყაროში განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად არის დაბადებული და დავის მხარეები მეტი ეფექტურობისა და გარკვეული რესურსების დაზოგვის მიზნით, ირჩევენ დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებას[14].

ონლაინ არბიტრაჟი გახლავთ დამოუკიდებელი, ავტონომიური მექანიზმი დავის გადაწყვეტისა, რომელიც სასამართლოგარეშე ხასიათს ატარებს და მიკუთვნებული აქვს თავისი სამოქმედო არეალი, რომელიც ძირითადად დამყარებულია საერთაშორისო სტანდარტებზე და პრაქტიკაზე. განსხვავებით ტრადიციული არბიტრაჟისგან, მხარეებს არ უწევთ პირისპირ ერთმანეთთან შეხვედრა და ისინი კომუნიკაციებისთვის იყენებენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, შესაბამისად მათ არ უწევთ მგზავრობის

---

[12] Farzaneh Badiei, Georgia Institute of Technology, Using Online Arbitration in E-Commerce Disputes A Study on B2B, B2C and C2C Disputes, 2015წ. გვ.88.
[13] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework, გვ.3.
[14] HERRMANN Gerold, Some legal e-flections on online arbitration, in Law of international business and dispute settlement in the 21st century, Cologne, 2001წ. გვ.267.

უზრუნველყოფა კონკრეტულ დანიშნულების ადგილზე და ამის საშუალებით ხდება როგორც ხარჯების შემცირება, ისე დროის დაზოგვა[15].

ონლაინ არბიტრაჟის მექანიზმის გამოყენებისას ყველა არსებითი დეტალის დაგეგმვა და განხორციელება შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში[16], იქნება ეს საარბიტრაჟო შეთანხმების დადება, მოწმეების დაკითხვა, მტკიცებულებების მიწოდება, არბიტრის არჩევა თუ სხვა პროცედურული საკითხები. რათქმაუნდა მატერიალური სახით არსებული მტკიცებულებებისა და საქმის მიმდინარეობისთვის საჭირო დოკუმენტების ონლაინ ფაილებად გარდაქმნა დღევანდელ ციფრულ საუკუნეში მარტივი პროცედურაა და აქედან გამომდინარე ფიზიკური სიშორე მხარეებს შორის არანაირ დაბრკოლებას არ წარმოადგენს.

დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებებიდან, ონლაინ არბიტრაჟი არის ყველაზე მეტად მორგებული იმ პლატფორმას, რომელსაც გვთავაზობს ონლაინ გარემო[17]. შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ გარემო უფრო მისაღები და მორგებულია არბიტრაჟზე, ვიდრე მედიაციაზე, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეებს შორის შედარებით ნაკლებად ინტენსიური კომუნიკაცია არსებობს და არ არის მათი ურთიერთობა კომპლექსური ხასიათის[18]. ონლაინ არბიტრაჟი უფრო მარტივი ხასიათის პროცედურებს ატარებს მიზნების მისაღწევად და ტრადიციული დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ერთ-ერთი უპირატესობა დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებებეთან მიმართებაში, რომელიც მდგომარეობს მხარეებს შორის ერთ სივრცეში, პირისპირ კონტაქტში, ამ შემთხვევაში არ აკნინებს ონლაინ არბიტრაჟის პროცესს[19], რადგან აღნიშნული პროცესისთვის არ აქვს მხარეების ერთ სივრცეში ყოფნას დადებითი ხასიათის მატარებელი მნიშვნელობა, პირიქით შეიძლება ზუსტად სხვა და სხვა სივრცეში ყოფნა ჩაითვალოს უპირატესობად მხარეებისთვის მინიჭებული მეტი თავისუფლების და ნაკლები დაძაბულობის გამო, ხოლო მედიაციისთვის ეს დეტალი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია და პირდაპირ კავშირშია სასურველი შეთანხმების მიღწევასთან, რადგან პირისპირ კომუნიკაციის პერიოდში უფრო აქტიურად ხდება მოლაპარაკების პროცესში ინტეგრირება.

---

[15] HÖRNLE Julia, Cross-border Internet Dispute Resolution, გვ. 84.
[16] იხ. სქოლიო 10
[17] LODDER R. Arno and VREESWIJK Gerard, Online arbitration services at a turning point, ICC International Court of Arbitration Bulletin, გვ.21-28.
[18] BERNSTEIN Ronald, J. TACKABERRY John, and MARRIOTT L. Arthur, Handbook of Arbitration Practice (Sweet & Maxwell 3rd Ed.), 1998წ. გვ. 5.
[19] RULE Colin, ციტატა, გვ.44.

ცალსახაა, რომ დღევანდელი მდგომარეობით ონლაინ არბიტრაჟი მეტ პოტენციალს ატარებს, ვიდრე ტრადიციული არბიტრაჟი[20]. დროდადრო ონლაინ არბიტრაჟი უფროდაუფრო პოპულარული ხდება, არის აბსოლუტურად პრივატული ხასიათის მატარებელი, რომელიც ქმნის რესურსს იმისა, რომ პროცესი იყოს კონფიდენციალური და კომუნიკაცია მხარეებს შორის მოხდეს გაცილებით ეფექტურად, ვიდრე ამას ტრადიციული დავის გადაწყვეტის მეთოდები ახერხებს. ონლაინ არბიტრაჟის პოპულარულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, სწორედ ის ბენეფიტებია, რომელიც ამ პროცესს გააჩნია, ძირითადად ეს დადებითი მხარეები მოიაზრებს დავის გადაწყვეტის სიჩქარეს, ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობას, პროცესის მაქსიმალურად მოქნილობას და ფიზიკური გადაადგილების აუცილებლობის არარსებობას[21].

ონლაინ არბიტრაჟის მოხმარების არეალი დღითიდღე იზრდება საერთაშორისო ბაზარზე, რაც გახლავთ მისი წარმატების დამადასტურებელი და პოპულარულობის გაზრდის მტკიცებულება. ძალიან პოპულარული და დიდი გამოცდილებისა და ისტორიის მქონე ოფლაინ ინსტიტუტები, როგორებიცაა ევროპაში EAC (საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო), ამერიკის შეერთებულ შტატებში AAA (ამერიკის არბიტრაჟის ასოციაცია) და სხვ. ცდილობენ გაეცნონ დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებების ტექნოლოგიებს და ახდენენ მის დანერგვას თავიანთ პრაქტიკაში[22], შესაბამისად ონლაინ ტექნოლოგიების ინტეგრირება ხდება საკმაოდ ავტორიტეტულ ოფლაინ ინსტიტუტებში[23], რაც ასევე პირნათლად ადასტურებს მის ეფექტურობას და ცალსახაა, რომ ონლაინ ტექნოლოგიები მეტად ადაპტირებული და მორგებულია დღევანდელ რეალობაზე, ვიდრე დავის გადაწყვეტის პროცესში ტრადიციული მეთოდების გამოყენება. ონლაინ არბიტრაჟი განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის პერიოდში მოექცა ყურადღების ქვეშ და უფროდაუფრო მეტ დაინტერესებას იწვევს საერთაშორისო ბაზარზე[24]. ტექნოლოგიების განვითარება ცხადყოფს, რომ მის დახვეწასთან ერთად იზრდება ონლაინ არბიტრაჟის ეფექტურობა და მცირდება მისი უარყოფითი მახასიათებლების რიცხვი[25], რაც თავის მხრივ უახლოეს მომავალში გამოიწვევს ისეთ რეალობას, რომელშიც ონლაინ

---

[20] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.4.
[21] KAUFMANN-KOHLER Gabrielle and SCHULTZ Thomas, გვ.68.
[22] DAVIS G. Benjamin, Symposium Enhancing Worldwide Understanding through Online Dispute Resolution: Walking Along in the Mission, University of Toledo Law review, vol. 38, გვ.2.
[23] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.7.
[24] ARSIC Jasna, International Commercial Arbitration on the Internet, გვ.209.
[25] HÖRNLE Julia, Online Dispute Resolution: the Emperor's New Clothes, გვ.29-59.

არბიტრაჟი იქნება აბსოლუტურად უპირატესი ალტერნატივა ტრადიციულ არბიტრაჟთან მიმართებაში[26].

## IV. საარბიტრაჟო შეთანხმება ონლაინ არბიტრაჟის შესახებ

ონლაინ არბიტრაჟის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, პირველ რიგში მხარეებმა უნდა მოახდინონ შეთანხმების დადება. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება იყოს ძირითადი კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქცი ან ცალკე არსებული დოკუმენტი.

საარბიტრაჟო შეთანხმება არბიტრაჟის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და პოტენციური საარბიტრაჟო განხილვის პირველი საფეხურია, ამიტომ, შეთანხმების დადების პერიოდში უნდა მოხდეს იმ მნიშვნელოვანი დეტალების გაწერა, რომლებიც იქნება ამოსავალი წერტილები შესაძლო საარბიტრაჟო პროცესში[27]. პროცესის მიმდინარეობა სწორედ საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე ხდება და იგი გახლავთ ერთგვარი ფაბულა და ინსტრუქცია, რომლითაც უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა შემდგომ საფეხურებზე. განვიხილოთ საარბიტრაჟო შეთანხმების შემადგენელი ნაწილები, რას უნდა ითვალისწინებდეს იგი, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში ონლაინ არბიტრაჟი იყოს ეფექტური, წარმატებული, ორგანიზებული და ყველა მონაწილე მხარისთვის მისაღები.

საარბიტრაჟო შეთანხმების ძირითადი ფუნქცია გახლავთ ის, რომ დაფიქსირდეს მხარეების პოზიცია იმაზე, რომ თანახმანი არიან მათ შორის წარმოქმნილი დავა განხილულ იქნეს ონლაინ არბიტრაჟის მიერ და არა სასამართლოსა ან სხვა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების მიერ[28].

---

[26] YU Hong-lin and NASIR Motassem, Can online arbitration exist within the traditional arbitration framework? გვ.455.

[27] Ott, Rachel "Online Dispute Resolution: Review of Initiatives Worldwide", Computer Fraud & Security, გვ.14

[28] Schultz, Kaufmann-Kohler, Langer, Bonnet, Online dispute resolutiuon, გვ.13.

1. **შეთანხმების აუცილებელი პირობები**

საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ფორმალურ და მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს. როგორებიცაა: წერილობითი ფორმა, საკითხი უნდა ეკუთვნოდეს არბიტრაჟის განხილვის საგანს და სახეზე უნდა იყოს მხარეების თანხმობა[29], პირველ რიგში, სახეზე იყოს მხარეების მიერ ნების გამოვლენის დადასტურება შესაძლო დავის წარმოქმნის შემთხვევაში დავის განხილვისა ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტის მიერ[30].

i. ნიუ იორკის კონვენციის მიხედვით, დადგენილია შეთანხმების წერილობითი ფორმით არსებობის აუცილებლობა, რაც ემსახურება იმ მიზანს, რომ მარტივად მოხდეს ხელმომწერი მხარის იდენტიფიცირება და ნების გამოვლენის ნამდვილობის დადგენა[31], თუმცა, შესაძლებელია ამ დებულების ინტერპრეტაცია იმ კუთხით, რომ იგი მისაღები იყოს ელექტრონული კონტრაქტის სახით და მსგავსი ფორმით არსებული შეთანხმება გახლდეთ ვალიდური[32], შინაარობრივად აღნიშნული მოთხოვნის დადგენის პერიოდში ფიზიკურად შეუძლებელი იყო ელექტრონული დოკუმენტის არსებობის გათვალისწინება და მასზე კონკრეტული განმარტების გაკეთება[33].

ii. დავის საგნის განხილვა შესაძლებელი უნდა იყოს არბიტრაჟის პროცესით[34]. სახელმწიფო კანონმდებლობის იურისდიქციაში შედის გადაწყვიტოს დავის საგნის ბედი, შეიძლება თუ არა, აღნიშნული საკითხის წარდგენა არბიტრაჟში[35]. ბიზნეს დავები უმეტეს იურისდიქციაში შესაძლებელია განხილულ იქნეს არბიტრაჟის მეშვეობით. აღნიშნული დამოკიდებულება ხელს უწყობს ბიზნეს დავების განხილვის მოქნილობას და ცდილობს შეუქმნას თავისუფალი გარემო ბიზნეს სუბიექტებს და არ შეეცადოს მათ შებოჭვას, როდესაც განსახილველი საკითხისთვის მნიშვნელოვანია არ მოხდეს მისი დროში გაწელვა და შესაძლოა, სწორედ მისი

---

[29] Kaufmann-Kohler, Schultz, Online dispute resolution, გვ.138.

[30] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.15.

[31] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.10.

[32] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.9.

[33] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.19.

[34] მუხლი 5 (2), Convention და მუხლი 36 (1), Model Law.

[35] ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა არ უშვებს გარკვეული საკითხების განხილვის შესაძლებლობას არბიტრაჟის მეშვეობით, ეს შეიძლება გამომდინარეობდეს საჯარო წერსიგის ინტერესებიდან გამომდინარე.

დროულად გადაწყვეტა იყოს მოსალოდნელი უსიამოვნებების თავიდან არიდების ერთადერთი შანსი.

iii. მონაწილე მხარეების თანხმობა არის ფუნდამენტური ნაწილი ყველა კონტრაქტისა და შესაბამისად არც საარბიტრაჟო შეთანხმება არ გახლავთ გამონაკლისი და არ გამოირჩევა რაიმე განსხვავებული სპეციფიკური მახასიათებლებით. თანხმობის დადასტურება უნდა მოხდეს ხელმოწერების მეშვეობით.

## 2. შეთანხმების შინაარსი

შეთანხმების შინაარსი უნდა იყოს რაც შეიძლება ამომწურავი და შეიცავდეს რაც შეიძლება მეტ დეტალებს. სწორედ შეთანხმების შინაარსით ხდება არბიტრაჟის პროცესზე გაძღოლა და ყველა ამოსავალი დეტალების გათვალისწინება უნდა მოხდეს შეთანხმების ეტაპზე. რათქმაუნდა არსებობს სტანდარტული დეტალები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გაწერილი შეთანხმების პერიოდში, ესეთი გახლავთ:

i. დავის მხარეები.

ii. კონკრეტულა დავა ან დავის სახეები, რომლებიც შეიძლება გახდეს არბიტრაჟის პროცესის განხილვის საგანი.

iii. პროცესი, რის შესაბამისადაც მოხდება არბიტრის/არბიტრების არჩევა, ან მინიმუმ ის კონკრეტული ცოდნა  და დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც უნდა გააჩნდეს არბიტრს/არბიტრებს. მაგალითისთვის შეიძლება მოვაყვანოთ ისეთი სიტუაცია, როდესაც საჭიროა სპეციალური ცოდნის ქონა, შესაძლოა დავის შინაარსი მოითხოვდეს საჭიროებას იმისა, რომ არბიტრს ქონდეს გაკრვეული რაოდენობის გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით, ეს შეიძლება იყოს ინჟინერია, ინფორმაციული ტექნოლოგიები და ა.შ.

iv. პირობა იმისა, თუ რა სახით ელექტრონული საშუალებები იქნება გამოყენებული პროცესის მიმდინარეობისას და რა მიზნით. სხვადასხვა სახის ელექტრონული საშუალებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან როგორც მათი მოქმედების არეალით, ასევე სხვა ტექნიკური მახასიათებლებით და შესაბამისად, ეს დეტალი ძალიან მნიშვნელოვანია დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებიისთვის კომფორტული გარემოს შექმნისთვის, რაც ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა პროცესის ეფექტურად ჩატარებისთვის.

v. პროცესი და საშუალებები, რომლის მიხედვითაც მოხდება არბიტრაჟის წარმართვა[36].

ზემოთხსენებული ელემენტები გახლავთ ის მინიმალური აუცილებელი პირობები, რომლებიც საჭიროა გაწერილი იქნას შეთანხმების დადებას, ზოგადად სასურველია შეთანხმება მოიცავდეს რაც შეიძლება მეტ დეტალს პროცესის ირგვლივ და თავიდანვე იყოს მიმართული კონკრეტული პირობებისაკენ, მისი შინაარსი არ უნდა იყოს ზოგადი, ისეთი, როგორიც შემდგომ გაართულებს პროცესის მიმდინარეობისას დეტალებზე ორიენტირებას და შესაძლოა მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმების გაგება მათი ინტერპრეტაციების შედეგად, რაც საბოლოოდ გამოიწვევს აბსოლუტურ არეულობასა და უთანხმოებას. საარბიტრაჟო შეთანხმება ემსახურება სწორედ იმას, რომ დავის შესაძლო დაწყებამდე მხარეები აღჭურვილნი იყონ სრული ინფორმაციით იმ დეტალების შესახებ, რომლებიც შემდგომ განაპირობებს პროცესის წარმართვას.

ონლაინ არბიტრაჟის შესახებ საარბიტრაჟო შეთანხმების ფუნდამენტური ასპექტი გახლავთ ის, რომ დადგენილ იქნას ელექტრონული საშუალებების გამოყენება არბიტრაჟის პროცესში. სწორედ ეს დეტალია განმსაზღვრელი იმისა, რომ არბიტრაჟი იქნება ონლაინ სახის და შესაბამისად უნდა მოხდეს ყველა იმ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების განსაზღვა და ფუნქციების მინიჭერება, რომლებიც გამოყენებული იქნება დავის წარმოშობის შემთხვევაში. საუბარია ვიდეო კონფერენციაზე, ელექტრონულ მეილზე და ა.შ. შესაძლოა ელექტრონული მეილის საშუალებით მოხდეს მტკიცებულებების მიწოდება, ვიდეო კონფერენციის საშუალებით მოხდეს მოწმეების წარმოდგენა, მხარეების ჩართულობა პროცესში, ახსნა-განმარტებების მოსმენა და ა.შ. ამ ყველაფრის დეტალურად გაწერა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ შესაძლოა შემდგომ ეტაპზე მოხდეს ისეთი მტკიცებულებების უგუნებელყოფა, რომელიც წარმოდგენილი იქნება წინასწარ შეუთანხმებელი გზით.

### 3. გადასაწყვეტი დავები

მხარეებმა უნდა შეათანხმონ, თუ რომელი დავა ან რა სახის დავები იქნება გადასაწყვეტი ონლაინ არბიტრაჟის მეშვეობით. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ რომელი სპეციფიკური ხასიათის დავები იქნება განკუთვნილი ონლაინ არბიტრაჟისთვის, რომლებიც წარმოქმნილი იქნება

[36] St. John Sutton, David, Russel on Arbitration, London, 2007წ. გვ.5.

გარკვეული სახის ელექტრონულ-კომერციული ტრანზაქციების შედეგად. თავის მხრივ, მხარეებს ასევე აქვთ უფლებამოსილება ერთი და იგივე ტრანზაქციიდან წარმოქმნილი დავების მოგვარებისას გამოიყენონ სხვადასხვა შინაარსის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების სერვისები. ამ მხრივ მხარეებს მინიჭებული აქვთ აბსოლუტური თავისუფლება, თუმცა შეთანხმების პერიოდში მნიშვნელოვანია კონკრეტიკა, გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლოა რომელიმე მხარისათვის არ იყოს მისაღები ის საშუალება, რომელიც შემოთავაზებული იქნება მეორე მხარის მიერ. ბიზნეს დავები ერთ-ერთი ყველაზე რთული ფორმაა დავებისა, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მიერ და მხარეების მაქსიმალური ჩართულობისა და კონცენტრირების გარეშე თითქმის წარმოუდგენელია სასურველი შედეგის დადგომა და ესეთ დროს, როგორც წესი, ორივე მხარე დაზარალებული რჩება.

## 4. არბიტრის არჩევა

არბიტრის არჩევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალია არბიტრაჟის პროცესში, რადგან სწორედ მის ხელშია დავის გადაწყვეტის ბედი. არბიტრის არჩევის ეტაპზე, მხარეებს მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება პროცედურის წარმართვისთვის, მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ როგორც არბიტრის არჩევისთვის განკუთვნილი პროცედურის დეტალები, ასევე მათი რაოდენობა [37]. სასურველი არბიტრის არჩევის შესაძლებლობა ონლაინ არბიტრაჟის ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული და უპირატესი მახასიათებელია[38]. შეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია იმ პროცესის დადგენა, რომლის მეშვეობითაც მოხდება არბიტრის არჩევა ან მოხდეს იმ მახასიათებლების დადგენა, რომლებიც უნდა გააჩნდეს არბიტრს და შემდგომ მისი მეშვეობით მოხდეს არბიტრის შერჩევის პროცესის წარმოება.

არბიტრები არჩეული უნდა იყონ ან პირდაპირ მხარეების მიერ, ან იმ შერჩეული უფლებამოსილების საფუძველზე, რომელზეც მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან[39]. ყველა შემთხვევაში არბიტრების არჩევა უნდა მოხდეს დავის შინაარსიდან გამომდინარე, თუ რა სპეციფიური თვისებები უნდა გააჩნდეს არბიტრს და რა სფეროში უნდა იყოს იგი კომპეტენტური. ბიზნეს სფერო ზოგადად მოიცავს მსოფლიოში არსებული რესურსების უმეტეს

---

[37] Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007), გვ.90.
[38] Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3, გვ.343.
[39] Thomas Schultz, Online Dispute Resolution გვ.14.

ნაწილს და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება არსებობდნენ სტანდარტული პირობების დამაკმაყოფილებელი პირები, რომლებიც კომპეტენტურები იქნებიან ნებისმიერი პროფილის ბიზნეს დავის შემთხვევაში, ამიტომ ამ ყველაფერს საბოლოოდ მივყავართ ისევ იქ, რომ წინასწარ უნდა მოხდეს იმ კონკრეტული მახასიათებლების დადგენა, რომელიც უნდა გააჩნდეს შემდგომ შერჩეულ არბიტრს. შესაძლოა, საჭიროებამ მოითხოვოს რომელიმე კონკრეტული სფეროს ექსპერტის მოწვევა არბიტრად დავის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დავის გადაწყვეტის ეფექტურობა სწორედ რომ არჩეულ პირებზე არის დამოკიდებული და მთლიანი პროცესის ძირითადი ამოსავალი წერტილიც, დავის კომპეტენტურ პირზე მინდობაა. მაგალითად, ინტერნეტ აუქციონების საიტებს უნდა გააჩნდეთ ექსპერტების ის კორპუსი, რომლებიც გათვიცნობიერებულნი არიან პროდუქციის ხარისხში, რომლებიც იყიდება ამ საიტების მეშვეობით[40].

საბოლოოდ, ყველა ვარიანტში, არბიტრის შერჩევის პროცესმა უნდა უზრუნველყოს გარანტიის არსებობა იმის შესახებ, რომ ჯგუფი იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რამაც უნდა განაპირობოს პროცესის სამართლიანობა[41].

## 5. არბიტრაჟში გამოსაყენებელი ელექტრონული მექანიზმების არჩევა

ტრადიციული არბიტრაჟისგან განსხვავებით ელექტრონული მექანიზმების გამოყენება გახლავთ ონლაინ არბიტრაჟის აუცილებელი მახასიათებელი. აქედან გამომდინარე, მხარეები უნდა შეთანხმდნენ იმაზე, რომ პროცესში მოხდეს ასეთი საშუალებების გამოყენება. მხარეები ასევე უნდა შეთანხმდნენ იმ პირობებზე, რომლის მიხედვითავ მოხდება კონკრეტული ელექტრონული საშუალებების გამოყენება, რა მიზნითა და ფუნქციით იქნება ინტეგრირებული პროცესში ესა თუ ის მექანიზმი. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ყველანაირი დოკუმენტაციის წარდგენა ონლაინ არბიტრაჟის პროცესში ხდება ელექტონული მექანიზმების საშუალებით. დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით წარდგენა, ამარტივებს არბიტრების მუშაობის პროცესს, განსხვავებით უამრავი მატერიალური სახით არსებულ დოკუმენტებთან მუშაობისგან[42].

---

[40] Ramberg, Ch. The law on auctions & exchanges online, გვ.194.
[41] Thomas Schultz, Online Dispute Resolution: გვ. 59.
[42] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.24.

## 6. პროცესი

ონლაინ არბიტრაჟის პროცესი შეიძლება წარიმართოს სრულად ონლაინ რეჟიმში, ასევე ონლაინ და ოფლაინ მექანიზმების კომბინაციის პირობებშიც[43]. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს პროცესის საფეხურებს, ფორმას და ვადებს. ეს რა თქმა უნდა აუცილებელი პირობაა პროცესის ეფექტურობისთვის და ონლაინ არბიტრაჟის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დადებით მხარეს, დროში მოქნილობას უნდა ემსახურებოდეს ვადების წინასწარ შეთანხმება მხარეების მიერ. ამ დროსაც რათქმაუნდა კონკრეტიკისკენ მიგვითითებს ეს დეტალი, მაგრამ პროცესის მიმდინარეობისას მხარეებს აუცილებლად უნდა ქონდეთ გონივრული ვადები მტკიცებულებების წარმოსადგენად და პოზიციების დასაფიქსირებლად, ასე რომ, შესაძლოა რომელიმე წინასწარ შეთანხმებული დეტალი, გახდეს გადახედვის საგანი, გამომდინარე იქიდან, რომ გათვალისწინებული იყოს არაგონივრული ვადა შეცდომით ან გამიზნულად. ონლაინ არბიტრაჟი არ ემსახურება პროცესის მიმდინარეობისას დროის დაზოგვას ნებისმიერი საფასურის სანაცვლოდ. აუცილებელია, პროცესი იყოს სამართლიანი და მორგებული პროცესში მონაწილე მხარეებისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე[44]. თუმცა ის ფაქტი, რომ პროცესის ონლაინ რეჟიმში ჩატარება აუცილებლად გამოიწვევს პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე მხარეების მიერ კონკრეტულ დანიშნულების ადგილებზე გამოცხადების საჭიროებისაგან თავის არიდებას, უკვე ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ ყველა ვარიანტში მოხდება დროის დაზოგვა მხარეების მიერ[45].

## 7. არბიტრაჟის ჩატარების ადგილი

მოდელური კანონის თანახმად[46], შეთანხმებით უნდა მოხდეს არბიტრაჟის ჩატარების ადგილის განსაზღვრა. ერთის მხრივ, ონლაინ არბიტრაჟის პროცესში ეს არ გახლავთ გადამწყვეტი მნიშვნელობის და ზოგადად, საერთოდ საჭიროც არ არის ონლაინ არბიტრაჟის შესახებ შეთანხმებაში ჩატარების ადგილის დაკონკრეტება, თუმცა ფიქტიური ადგილის

---

[43] Farzaneh Badiei, Georgia Institute of Technology, Using Online Arbitration in E-Commerce Disputes A Study on B2B, B2C and C2C Disputes, 2015წ. გვ.93.

[44] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.25.

[45] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.31.

[46] მუხლი 20, Model Law.

დასახელება მაინც რეკომენდირებულად ითვლება. ონლაინ არბიტრაჟის მიმდინარეობისას ცალსახაა, რომ შესაძლოა მხარეები სხვადასხვა ადგილას იმყოფებოდნენ და მათ შორის კავშირი ხდებოდეს ონლაინ კომუნიკაციების საშუალებით. რაც რეალურად აქრობს იმის საჭიროებას, რომ წინასწარ იქნეს დადგენილი თუ კონკრეტულად რომელ ლოკაციაზე მოხდება არბიტრაჟის გამართვა[47]. თუმცა გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, ვაწყდებით ამ გარემოებიდან გამომდინარე არსებულ პრაქტიკულ პრობლემებს და შესაბამის თავში განხილული იქნება არბიტრაჟის განხილვის ადგილის განსაზღვრის მნიშვნელობა.

## V. ონლაინ არბიტრაჟის პროცესი

არბიტრაჟის პროცესში მხარეები არ არიან შეზღუდულები იმ წესების დადგენაში, რომლითაც უნდა მოხდეს პროცესის გაძღოლა. მხარეებს შეუძლიათ მოახდინონ პროცესის რეგულირება იმ გზით, რა გზითაც მათ ეს სურთ. რათქმაუნდა, ეს თავისუფლება არ არის განუზომელი და გრძელდება მანამ, სანამ არ მოხდება სამართლიანი განხილვის ზოგადი წესებისა და პრინციპების იგნორირება[48].

### 1. საბაზისო პროცედურული წესები

არბიტრაჟის ერთ-ერთი მახასიათებელი, რომელიც განასხვავებს მას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული სხვა საშუალებებისგან არის მისი პროცესის ოფიციალურობა. არბიტრაჟის პროცესი მისი შინაარსიდან და ფორმიდან გამომდინარე ძალიან გავს სასამართლო პროცედურებს, განსხვავებით დავის გადაწყვეტის ალტერნატიული სხვა საშუალებებისგან, რომლებიც უფრო მოქნილები არიან პროცესის თვალსაზრისით, ასეთაც შეგვიძლია დავასახელოთ მაგალითად მედიაცია. შესაბამისად პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამართლიანი განხილვა ორივე მხარისათვის.

არბიტრაჟის პროცესმა უნდა უზრუნველყოს ის მინიმალური ფორმალური უფლებამოსილებები მხარეებისთვის, რომლებიც ჯდება საერთაშორისო

---

[47] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.35.

[48] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.32.

სტანდარტებში. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ მაგალითად მხარეების მოსმენა, მათი დაკითხვა და პოზიციების დაცვის უფლებამოსილების მინიჭება მიუკერძოებელი არბიტრის მიერ [49] . მსგავსი სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში შესაძლოა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ანულირებული იქნეს და გამოცხადდეს ძალადაკარგულად.

ზემოთმოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე აშკარაა, რომ ონლაინ არბიტრაჟმა უნდა მოახდინოს პროცესუალური დეტალების გარანტირება ისე, რომ არ მოხდეს მხარეების უფლებამოსილებების დარღვევა, ეს ყველაფერი დამყარებულია იმ პრინციპებზე, რომლებიც ემსახურება პროცესის სამართლიანობას, ასეთ პრინციპებად შეიძლება მოვიაზროთ: მტკიცებულებების წარდგენის უფლებამოსილება, ნეიტრალურობა და გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში მიღების უფლება[50]. პროცესის დროს ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებები, რომლებიც საშუალებას მიცემს მხარეებს წარმოადგინონ სამართლებრივი არგუმენტები და არსებითი დეტალები დავის შესახებ და დაადასტურონ ისინი ფაქტებით.

ონლაინ არბიტრაჟის ერთ-ერთი გამორჩეული დადებითი მახასიათებელი სწორედ დროის დაზოგვა გახლავთ და ონლაინ არბიტრაჟის პროცესისთვის სწრაფი ტემპი პრაქტიკაში მიღებული რეალობაა. აქედან გამომდინარე, პროცესის დაწყებამდე, საარბიტრაჟო შეთანხმების შედგენის დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მხარეებისათვის გონივრული ვადების განსაზღვრა იმისათვის, რომ მათ მოახდინონ პოზიციებისა და არგუმენტების წარდგენა, ეს პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და დაუშვებელია აღნიშნული დროის არაადეკვატურად შემცირების ხარჯზე მოხდეს პროცესის მიმდინარეობის დაჩქარება. ონლაინ არბიტრაჟის წესების ზოგადი დამუშავების პერიოდში, გათვალისწინებულ იქნა ეს ყველაფერი და როგორც წესი, ისე ხდება საფეხურების და ბოლო ვადების დადგენა, რომ არ მოხდეს მხარეებისთვის მინიჭებული პროცესუალური უფლებების უგუნებელყოფა.

## 2. თავდაცვის შესაძლებლობა

პროცესის დროს უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თავის დაცვის ჯეროვანი უფლებამოსილებები. იმისათვის, რომ გარანტირებული იქნეს ყველა მნიშვნელოვანი უფლებამოსილების დაცვა, პროცესის მიმდინარეობისას

[49] Europian Convention Of Human Rights, მუხლი 6

[50] Schiavetta, Susan, "The Relationship Between e-ADR and Article 6 of the European Convention of Human Rights pursuant to the Case Law of the European Court of Human Rights" The Journal of Information, Law and Technology (JILT). 2004წ. (1).

არბიტრმა უნდა მიცეს მხარეს საკმარისი დრო საქმის დეტალების წარმოსადგენად და ასევე, უნდა მოხდეს კომუნიკაციების იმ დონეზე დარეგულირება და სერვისის ხელმისაწვდომობის განარტირება ისე, რომ მხარემ შეძლოს მტკიცებულებების საფუძვლიანად წარდგენა[51].

პროცესის დროს თავის დაცვის ჯეროვანი უფლებამოსილება ვერ იქნება უარყოფილი, რადგან ის გახლავთ ფუნდამენტური უფლებამოსილება, თუმცა, პროცედურების გარკვეულ საფეხურებზე უარის თქმა შესაძლებელია. მაგალითად საუბარია იმაზე, შეიძლება თუ არა ზეპირი გარჩევის უგუნებელყოფა, ეს თავის მხრივ მიუთითებს ადგილობრივ კანონმდებლობაზე, იძლევა თუ არა ის მსგავსი გადაწყვეტილების მიღების უფლებას და თუ არ დგას ამის აუცილებლობა, შესაძლოა მხარეების მიერ ამ პროცედურაზე უარის თქმა. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ კონკრეტულ პროცესუალურ საფეხურზე უარის თქმა ზღუდავს თუ არა რომელიმე მხარის უფლებას დაიცვას თავი, თუ ამის ნიშნები იკვეთება, მსგავსი საფეხურის უგუნებელყოფა ვერ მოხდება.

### 3. მტკიცებულების წარდგენა

პროცესის წესებმა უნდა მიცეს მხარეებს შესაძლებლობა წარმოადგინონ ნებისმიერი მტკიცებულება, რომელიც მათი აზრით არის მნიშვნელოვანი და იქონიებს გავლენას გადაწყვეტილების მიღების დროს, ასეთი მტკიცებულება შეიძლება იყოს: დოკუმენტები, მოწმეების ჩვენებები, ექსპერტების მოსაზრებები და ნებისმიერი სხვა სახის მტკიცებულებები მათი არგუმენტების გასამყარებლად.

მხარეებს შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც კონკრეტული სახის დოკუმენტები, ასევე ნებისმიერი წერილობითი ფორმით შედგენილი გრაფები თუ სხვა შინაარსის ჩანაწერები, ისევე როგორც ფოტოები, ელექტრონული მეილის მეშვეობით ან პირადი მიმოწერის რეჟიმში[52].

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როდესაც ხდება დოკუმენტების წარდგენა მტკიცებულებების სახით, უნდა მოხდეს სპეციალური დაშიფვრების

---

[51] Kaufmann-Kohler Gabrielle and Schultz Thomas, Online Dispute Resolution: Challenges. გვ.32.

[52] Ponte, Lucille M. and Cavenagh, Tomas D. Cyberjustice Online Dispute Resolution (ODR) for E-Commerce. Pearson Prentice Hall, New Jersey, 2005წ. გვ.87.

გამოყენება იმისთვის, რომ არ მოხდეს შემდგომ მათი შეცვლა, ასევე დადგენილ უნდა იქნეს მათი ავთენტურობა[53].

მოწმეების ჩვენებების და ექსპერტების შეხედულებების წარდგენა შეიძლება სხვადასხვა სახით, მხარეებს შეუძლიათ მათი წარდგენა ვიდეო კონფერენციის საშუალებით ან პირადი მიმოწერის რეჟიმში. მხარეს შეუძლია მოწმის ჩვენების წარდგენა წერილობითი ფორმებით, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს მოწმეებზე ზეწოლისგან თავის დაზღვევას და ასევე, მათი დროის იმ პერიოდით აღჭურვას, რომელშიც მოახერხებს მშვიდად დაფიქრებას საკუთარ პასუხებთან დაკავშირებით და მოხდება ემოციებისგან თავის არიდება.

რაც შეეხება სხვა სახის მტკიცებულებებს, მხარეების შეუძლიათ ნებისმიერი სახის მტკიცებულებების წარდგენა, რომელიც გავლენას იქონიებს საქმის არსებით დეტალებზე. ეს შეიძლება იყოს რაიმე საგნის გამოკვლევა, რომელზეც მიმდინარეობას მსჯელობა საქმის განხილვის პერიოდში, იმ შემთხვევაში თუ მხარე არ არის კმაყოფილი აღნიშნული საგნის ხარისხით, მას შეუძლია მოახდინოს საგნის დათვალიერება ვიდეო ჩვენების დროს ან მიაწოდოს არბიტრაჟს ეს ინფორმაცია სხვა სახით, მაგალითად გადაუღოს ფოტოსურათი ან ვიდეო, რომლის შედეგადად არბიტრები მოახდენენ მის შესწავლას[54].

## 4. დროებითი ზომების მიღება

საარბიტრაჟო განხილვის პერიოდში შესაძლოა არბიტრებმა მიიღონ დროებითი ზომები თუ ჩათვლიან, რომ დროის ამ ეტაპზე ეს იქნება შედეგის მომცემი. ამ ზომებში იგულისხმება ისეთი მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია მოცემული სიკეთეების შესანარჩუნებლად, ეს შეიძლება იყოს, მხარეების აქტივები ან მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლება შემდგომ განადგურდეს ან გაქრეს[55]. ასევე მისაღებია გარკვეული პროცედურების გატარება ისეთ დროს, როდესაც არსებობს კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხე[56].

---

[53] Kaufmann-kohler Gabrielle, Online dispute resolution, გვ.192.

[54] Hörnle J, "Disputes Solved in Cyberspace and the Rule of Law", 2001წ. (2) The Journal of Information, Law and Technology JILT)

[55] Kessedjian, Catherine, Les mesures provisoires et conservatoires, 23 თებერვალი, 2010წ.

[56] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.37.

დროებით ზომებში შეიძლება ასევე იგულისხმებოდეს ე.წ. Escrow-ს[57] შექმნის იძულება ან რაიმე სხვა სახის ფონდზე იყოს საუბარი, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო აღსრულებას. ასევე პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ქონების დაკავება იმ მიზნით, რომ არ მოხდეს მტკიცებულების განადგურება, რომელიც განთავსებულია კონკრეტულ კომპიუტერულ ტექნიკაში.[58]

ონლაინ არბიტრაჟის პროცესი სრულდება გადაწყვეტილების მიღებით, გადაწყვეტილების სახეები, მიღებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები ინდივიდუალურად იქნება განხილული შემდეგ თავში.

## VI. ონლაინ არბიტრაჟის გადაწყვეტილება და მისი აღსრულება

არბიტრაჟის პროცესის საბოლოო საფეხური გახლავთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ყველა იმ არგუმენტის და მტკიცებულების გათვალისწინებით, რომელიც წარმოდგენილი იყო პროცესის განმავლობაში, გადაწყვეტილების გამოტანა უნდა მოხდეს გონივნურ ვადაში, რაც გულისხმობს დავის სირთულის გათვალისწინებას. რა თქმა უნდა ფიქსირებული ზღვრული ვადა განსაზღვრული არ არის, მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე, გაჭიანურება არ ხდება.

ნიუ იორკის კონვენციის ფორმალური მოთხოვნილებების გავლენით, გადაწყვეტილება უნდა იყოს წერილობითი ფორმით გამოტანილი და

---

[57] ე.წ. Escrow-ს სისტემა გულისხმობს ისეთი სახის მომსახურებას, როდესაც მესამე მხარის ხელში ხვდება მხარეების კაპიტალი კონკრეტული ტრანზაქციის განხორციელების პერიოდში და ეს მესამე მხარე არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ პროცედურის მიმდინარეობის ეტაპზე არ მოხდება რომელიმე მხარის მიერ ვალდებულებებით დარღვევა იმ სახით, რომ ფინანსური ზარალი მიაყენოს მეორე მხარეს. კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს თავაზობენ ე.წ. Escrow-ს მომსახურებას, ხდებიან მათ მიერ მინდობილი კაპიტალის მჭერები და წინასწარ შეთანხმებული პირობების მიხედვით ახორციელებენ აღნიშნული კაპიტალის მართვას, რა თქმა უნდა მსგავსი სისტემების გამოყენება ყველა მონაწილე მხარისთვის მომგებიანია საბოლოო ჯამში, რადგან მსგავსი სერვისით სარგებლობისას მეტად არის მათი კუთვნილი კაპიტალი დაცული და არ არის იმის რისკი, რომ არაკეთილსინდისიერი ხელშემკველი მხარის მიერ მიადგეს სერიოზული ფინანსური ზიანი, როგორც წესი, მსგავს სერვისს მომხმარებლები მიმართავენ ძირითადად იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება დიდი რაოდენობით თანხებს.

[58] Kerr, Orin S., "Searches and Seizures in a Digital World" Harvard Law Review, Vol. 119, 2006წ.; Research Paper #135.

დადასტურებული უნდა იქნას არბიტრის ხელმოწერით [59] , მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ პროცედურების მიმდინარეობა ძირითადად ონლაინ რეჟიმში ხდება, თავის მხრივ ციფრული ხელმოწერით გადაწყვეტილების დადასტურებაც მიღებული ქმედებაა და ზუსტად იგივე ძალის მატარებელია, როგორისაც მატერიალური სახით შესრულებული ხელმოწერა[60].

გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მნიშვნელოვანი საფეხურია მისი აღსრულება. გამომდინარე იქიდან, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მხარეების შეთანხმების შედეგად სავალდებულო სახის, უნდა არსებობდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურის დადგენას.

სამწუხაროდ საკუთრივ არბიტრაჟს არ გააჩნია მექანიზმი იძულებისა, აქედან გამომდინარე, მსგავს შემთხვევებში შესაძლოა საჭიროებამ მოითხოვოს სასამართლოსთვის მიმართვა და ამ გზით მიზნის მიღწევა. თუმცა, ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება უცხო სახელმწიფოს სასამართლოს მიერ ბევრად უფრო მარტივი და კომფორტული პროცედურაა, ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა [61] , ეს ძირითადად ეხება ნიუ იორკის კონვენციის მოქმედების არეალში მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლების აღსრულებაც საჭიროა იმ სახელმწიფოში, რომელიც ასევე არის ნიუ იორკის კონვენციის ხელშემკვრელი წევრი.

სასამართლოს გზით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებისთვის განკუთვნილი პროცედურა საკმაოდ ბევრ სირთულეს მოიცავს, შესაბამისად, ეს გახლავთ მძიმე და შრომატევადი პროცედურა. ეს ყველაფერი შეიძლება მოიცავდეს რიგ საფეხურებს, დაწყებული დოკუმენტების თარმგნიდან, დამთავრებული სასამართლოზე ჩასატარებელი პრეზენტაციითა და მეორე მხარის მიმართ შეტყობინებების გაგზავნით. შესაძლოა, სწორედ აქ დაიკარგოს ონლაინ არბიტრაჟის ის ეფექტურობა, რომელიც ძირითადად მიმართულია დროისა და ხარჯების შემცირებისკენ და გადაწყვეტილების აღსრულების მომენტში, დავდგეთ ზუსტად იმ პრობლემისა და უსიამოვნო პროცედურების წინაშე, რომლების ასაცილებლადაც მივმართეთ არბიტრაჟს. რასაკვირველია, მხარეებს ამ დროს აქვთ სურვილი იმისა, რომ აიცილონ

---

[59] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.50.
[60] Gabrielle Kaufmann-Kohler, Schultz, Thomas, Online dispute resolution, გვ.221.
[61] Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007), გვ.90.

თავიდან ეს ყველაფერი და მონახონ მიზნის მიღწევისათვის ბევრად უფრო ეფექტური გზა.

ამგვარი დაბრკოლებებისგან თავიდან ასარიდებლად არსებობს გარკვეული გზები არბიტრაჟის პროცესში, მხარეებს შეუძლიათ წინასწარ შეთანხდნენ ისეთ მექანიზმებზე, რომლების გამოყენებაც იქნება ეფექტური გზა გადაწყვეტილების აღსრულებისთვის, ან გადაწყვეტილების აღსრულებას შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთმა ელექტრონულმა მექანიზმებმა, რომლებიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს მომხარებლების საბოლოო დამოკიდებულებაზე და ნდობაზე კონკრეტული კომპანიების მიმართ. ეს შეიძლება იყოს ე.წ. Escrow[62] ან ე.წ. Trustmark[63].

დავის გადაწყვეტის ტრადიციულ ალტერნატიულ საშუალებებში, არბიტრაჟი იმით არის გამორჩეული სხვა სერვისებისგან, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის სავალდებულო ხასიათის, რომელიც აღსრულებადია სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების მსგავსად და აღჭურვილია ყველა იმ სტილის მექანიზმებით, რომლებიც ტრადიციულ სასამართლო სისტემებს ახასიათებს. ტრადიციული არბიტრაჟისგან განსხვავებით, ონლაინ არბიტრაჟში ეს საკითხი შედარებით სხვანაირად არის დარეგულირებული, რა თქმა უნდა შესაძლებელია ონლაინ არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება იყოს სავალდებულო ხასიათის, მაგრამ პრაქტიკაში ასევე ვხვდებით ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეიძლება იყონ არასავალდებულო ან ნაწილობრივ სავალდებულო[64]. ტრადიციული არბიტრაჟის ფუნდამენტურ ელემენტებს მხოლოდ სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებები იზიარებს. ბევრ სხვადასხვა ლიტერატურაში შეხვდებით ნამდვილი ონლაინი არბიტრაჟის ტერმინს და ეს ტერმინი გულისხმობს ისეთ ონლაინ არბიტრაჟებს, რომლების დროსაც ხდება სავალდებულოდ აღსასრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუმცა ნაწილობრივ სავალდებულო გადაწყვეტილება შესაძლოა იქცეს სრულად სავალდებულოდ

---

[62] იხ. სქოლიო 57

[63] ე.წ. Trustmark-ები, არის ელექტრონული სახით შემოთავაზებული ნიშნები და ლოგოები, რომლებიც წარმოდგენილია კომპანიების ვებ-საიტებზე და მისი მეშვეობით დგინდება აღნიშნული კომპანიების მიმართ მომხმარებლების ნდობის საერთაშორისო ნიშნული, რომელიც დადგენილია კონკრეტული სტატისტიკების შესწავლით და გარკვეულია თუ რა სახის დამოკიდებულება აქვთ კომპანიებს მომხმარებლების მიმართ და რა პოლიტიკას ატარებენ ისეთ სიტუაციებში, როდესაც სახეზე გვაქვს უთანხმოება კომპანიასა და კლიენტს შორის. ასე რომ, კომპანიის ინტერესებშიც შედის კარგი რეიტინგის ქონდა, რაც საბოლოოდ პოტენციური კლიენტების მიზიდვის ერთ-ერთი საშუალებაა.

[64] Farzaneh Badiei, Online Arbitration Definition and Its Distinctive Feature, Genève, Switzerland გვ..92.

და პროცესი, რომელზეც მოხდება მსგავსი გადაწყვეტილების გამოტანა ასევე მოხვდება ნამდვილი არბიტრაჟების რიგში[65].

ძალიან ხშირად მხარეებისათვის მიმზიდველია არასავალდებულო ხასიათის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები, რადგან ამის ფონზე ხდება თავის არიდება გარკვეული სამართლებრივი პროცედურებისგან, რომლებიც ხშირად სავსეა უამრავი დაბრკოლებებით და მხარეები აღარ არიან საარბიტრაჟო პროცესის შედეგებზე პირდაპირი გაგებით დამოკიდებულები, თუმცა, რა თქმა უნდა პროცესის შემდეგ მათ აქვთ შესაძლებლობა შეცვალონ დავის გადაწყვეტის კურსი და კანონმდებლობის საფუძველზე მოახდინონ დავის გადაწყვეტა. თავის მხრივ, არასავალდებულო ხასიათის არბიტრაჟები ზუსტად იმიტომ არის მიმზიდველი, რომ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო უზრუნველყოფები ფაქტიურად არ არსებობს[66].

1. **არასავალდებულო გადაწყვეტილება**

ონლაინ არბიტრაჟის პროცესის შედეგის მიხედვით, არსებობს არბიტრაჟის ორი ძირითადი სახე: სავალდებულო და არასავალდებულო. ერთი შეხედვით არასავალდებულო ონლაინ არბიტრაჟი შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, რადგან არბიტრაჟის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი და მისი განმასხვავებელი ნიშანი დავების გადაწყვეტის სხვა ალტერნატიული საშუალებებისგან სწორედ სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებაა, ხოლო არასავალდებულო ონლაინ არბიტრაჟის პირობებში, გადაწყვეტილება არ არის აღსრულებადი[67].

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მსგავსი სერვისის გამოყენებისა, სწორედ საკანონმდებლო დაბრკოლებებისგან თავის არიდებაა, ზუსტად იმ დაბრკოლებების, რომლებიც ხშირად გვხვდება პრაქტიკაში, როდესაც საქმე გვაქვს სავალდებულო ხასიათის ონლაინ არბიტრაჟთან. პირველ რიგში ეს გულისხმობს რომელიმე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ისეთ პირობებს, რომლებიც რეალურად ხელს უშლიან არბიტრაჟის პროცესის წარმართვას[68]. ამასთან ერთად, არასავალდებულო ხასიათის ონლაინ არბიტრაჟის შემთხვევაში ხდება ისეთი პრობლემებისგან

---

[65] Farzaneh Badiei, Online Arbitration Definition and Its Distinctive Feature, Genève, Switzerland გვ.92.
[66] CORTES Pablo, Online Dispute Resolution for consumers, გვ.106, 107.
[67] Amy J. SCHMITZ, Dispute Resolution, გვ.194.
[68] Amy J. SCHULTZ, Online Arbitration: Binding or Non-Binding? გვ.7.

თავის არიდება, როგორებიც არის შეთანხმების ცნობა, პროცესის მიმდინარეობისას პირობების შეთავსებადობა და რა თქმა უნდა ისევდაისევ გადაწყვეტილების აღსრულება.

არასავალდებულო ონლაინ არბიტრაჟის მომხიბვლელობის ერთ-ერთ მიზეზად ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ ზუსტად ის იდეა, რომელი იდეაც ემსახურება ზოგადად დავის გადაწყვეტის ონლაინ სისტემის შექმნის ერთ-ერთ მიზეზს, ამ მიზეზით, ძირითადად ეს პლატფორმა ემსახურება არამხოლოდ დავების გადაწყვეტას, არამედ ელექტრონული კომერციის ხელშეწყობასაც. ხელშეწყობა პირველ რიგში გულისხმობს ელექტრონულ კომერციაში წარმოქმნილი დავების გადაწყვეტას იმ კუთხით, რომ მაქსიმალურად შემცირებული იყოს დავის მიმდინარეობისას გამოყენებული რესურსები, რაც ისევდაისევ გულისხმობს დროს და ფინანსურ ხარჯებს.

არასავალდებულო ხასიათის ონლაინ არბიტრაჟი დამსგავსებულია დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების სხვა წარმომადგენლებს, იმ კუთხით, რომ ძირითადი არსი პროცესის წარმოებისა გახლავთ მესამე, ნეიტრალური პირის მონაწილეობის შედეგად გარკვეული შეთანხმების მიღწევა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ონლაინ არბიტრაჟის პროცესში ნაკლებად ხდება იმ ხერხების გამოყენება, რომლებიც გამოყენებულია მოლაპარაკების დროს და ამ კუთხით იგი მაინც განსხავებული შინაარსის პროცესია. მოლაპარაკების დროს გამოყენებული მეთოდები, რომლებიც ეხმარებათ მხარეებს პროცესის საბოლოოდ დასრულებაში და სასურველი შედეგების მიღწევაში ძირითადად დამოკიდებულია იმ დიალოგებზე და საუბრის ისეთ დეტალებზე, რომლების შედეგადად ხდება მხარეების მიერ ერთმანეთთან მეტი საერთოს გამონახვა, საერთო ინტერესების შესახებ იდეების მიწოდება და ა.შ.[69] რასაკვირველია არბიტრაჟის პროცესი ამ ხასიათის მატარებელი არ არის და საქმის წარმოების ფორმით ტრადიციულ სასამართლო პროცესებს უფრო წააგავს, ვიდრე მოლაპარაკების რომელიმე ხერხს.

მიუხედავად იმისა, რომ არასავალდებულო არბიტრაჟის შედეგად არ ხდება აღსასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანა, აღნიშნული გადაწყვეტილება თავის მხრივ მაინც შეიძლება იყოს საბოლოო და მოხდეს მისი აღსრულება, ეს შეიძლება იყოს მხარის თანხმობის ან იმ კონკრეტული მექანიზმების დამსახურება, რომლებიც ემსახურებიან გადაწყვეტილების ავტომატურად აღსრულებას. პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით მსგავს შემთხვევებს და ძირითადად ისინი გამოწვეულია ტექნიკური კონტროლის, მხარეების კაპიტალის კონტროლის ან ასევე არც თუ იშვიათად, რეპუტაციაზე

[69] BENNETT C. Steven, Non-binding Arbitration: An Introduction, გვ.2.

გავლენის მოხდენის ალბათობის არსებობის შედეგად. პირველ რიგში ზემოთხსენებულ მექანიზმებში ვგულისხმობ ე.წ. Trustmark სისტემას, შავ სიებს, ე.წ. Escrow ანგარიშებს, საკრედიტო ბარათებით უზრუნველყოფის სისტემებს და სხვა სპეციალურ ტექნოლოგიურ მეთოდებს. თომას შულცი მსგავსი მეთოდების შესახებ აღნიშნავს, რომ ონლაინ არბიტრაჟი გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს არა სასამართლო სისტემების მეშვეობით, არამედ ბაზარზე არსებული ლეგალური გზების დახმარებით[70]. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი ლოგიკურიცაა, არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების რაიმე ტექნოლოგიური გზა რომ არ არსებობდეს, სრულებით დაკარგავდა ეს ინსტიტუტი ეფექტურობას და ნდობას მომხმარებლებში.

არასავალდებულო ხასიათის არბიტრაჟები ბევრად უფრო მიმზიდველია ისეთი ბიზნეს დავების განსალიხველად, როდესაც დავის ღირებულება არ არის დიდი მოცულობის თანხა და შესაბამისად, სავალდებულო ხასიათის არბიტრაჟის პროცესის გამართვა ზედმეტად არაპრაქტიკული იქნებოდა მსგავს შემთხვევებში, როდესაც დავის ღირებულების სიმცირიდან გამომდინარე, შესაძლოა, გადაწყვეტილების აღსრულებას უფრო მეტი დრო და რესურსი წაეღო, ვიდრე ეს თვითონ დავის ღირებულება იქნებოდა. რასაკვირველია, მსგავსი შემთხვევებისთვის რომ არ არსებობდეს ალტერნატიული საშუალება დავის გადაწყვეტისა, ესეთი დავები საერთოდ განუხილველი დარჩებოდა და სწორედ აქ იჩენს არასავალდებულო ონლაინ არბიტრაჟის ეფექტურობა თავს, რომელიც აღჭურვილია გადაწყვეტილების აღსასრულებლად საჭირო ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით. ხშირად გადაწყვეტილების არ შესრულება უფრო მეტი ზიანის მომტანიც შეიძლება გახდეს, ვიდრე დავის ღირებულება იყო და თავადვე იყოს მხარე დაინტერესებული მისი შესრულებით. საბოლოო ჯამში, ყველა სახის ონლაინ დავაზე ვერ იქნება მსგავსი არასავალდებულო მექანიზმი მორგებული და ცალსახაა სავალდებულო ხასიათის არბიტრაჟის საჭიროებაც.

## 2. სავალდებულო გადაწყვეტილება

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებში არბიტრაჟის მიერ დაკავებული სპეციალური ადგილი გამოწვეულია იმით, რომ განსხვავებით სხვა სერვისებისგან, მხოლოდ არბიტრაჟის მეშვეობით არის შესაძლებელი საბოლოო, სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანა, რომელსაც

[70] Thomas SCHULTZ, 'Online Arbitration: Binding or Non-Binding? გვ.8.

განსხვავებით რომელიმე ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებისგან, ბევრად უფრო ეფექტური აღსრულების საშუალებები გააჩნია საერთაშორისო მასშტაბით[71]. ნაშრომის სხვადასხვა ნაწილებში საუბარი გვაქვს პერსპექტივაზე და სამომავლო მდგომარეობაზე, სწორედ ეს სპეციალური თვისება იძლევა მოლოდინს, რომ არბიტრაჟი არის ერთად ერთი რეალური ალტერნატივა ტრადიციულ სასამართლოსთან მიმართებაში[72], არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს ზუსტად ისევე აღსრულებადი, როგორც ეს ტრადიციული სასამართლოს შემთხვევაში ხდება და აღსრულების მექანიზმის სიმარტივეც ზუსტად იგივე ხარისხში აქვს აყვანილი, რაც შეეხება საერთაშორისო დავებს, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ეფექტურია არბიტრაჟის მიერ შემოთავაზებული აღსრულების მეთოდები, რაც ძირითადად გამყარებულია ნიუ იორკის კონვენციის მეშვეობით და მოგეხსენებათ, რომ ნიუ იორკის კონვენცია მოქმედებს საკმაოდ ბევრ სახელმწიფოში[73].

დავების ონლაინ გადაწყვეტის პლატფორმა ძალიან ბევრ სხვადასხვა სახის სერვისს შეიცავს, ძირითადად, ეს მეთოდები იყოფა სამ ნაწილად: მოლაპარაკება, მედიაცია და არბიტრაჟი. როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების, ასევე შესაბამისად დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებების ერთ-ერთი უარყოფითი მხარე გახლავთ ის, რომ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული მსგავსი სერვისების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება, ეს მეტწილად ეხება მოლაპარაკებებს და მედიაციას, ძირითადად, ზემოთხსენებული პროცედურების შედეგად ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ვერ იქნება სავალდებულოდ აღსრულებადი. გადაწყვეტილება დაფუძნებულია მხარეებს შორის შეთანხმებაზე და შეთანხმების მიუღწევლობისას პროცესი ითვლება წარუმატებლად[74]. წარმატებული პროცესის შემთხვევაშიც ხშირად ვაწყდებით პრობლემას აღსრულების ეტაპზე და მხარეებს უწევთ სასამართლოში წასვლა სასურველი შედეგის მისაღწევად. ეს პრობლემა ნაკლებად გვაქვს არბიტრაჟის შემთხვევაში და არბიტრაჟით გათვალისწინებულ პროცედურებში მოიაზრება გადაწყვეტილების აღსრულების ექსკლუზიური საშუალებები, განსხვავებით სხვა სერვისებისგან[75]. იმ კომპანიებისთვის, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების სწრაფი აღსრულება და ამის შედეგად

---

[71] Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework გვ.41.
[72] HÖRNLE Julia, Cross Border Internet Disputre Resolution, გვ.59.
[73] დღეის მდგომარეობით 154 სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოშიც.
[74] KAUFMANN-KOHLER Gabrielle, Arbitral Precedent: Dream, Necessity or Excuse? გვ.4, 5.
[75] WANG Fangfei Faye, Online Disputre Resolution: Technology Management and Legal Practice from an International Perspective, Chandos, Oxford, (2009წ). გვ.p. 87.

გარკვეული რესურსების დაზოგვა, სავალდებულო ხასიათის ონლაინ არბიტრაჟი არის ძალიან კომფორტული სერვისი და აქვს რიგი უპირატესობები სხვა ალტერნატიულ საშუალებებთან მიმართებაში[76]. ამ შემთხვევაში ისევე ხაზს ვუსვამთ სავალდებულო ხასიათის ონლაინ არბიტრაჟის უპირატესობას თუნდაც იგივე არასავალდებულო ონლაინ არბიტრაჟთან მიმართებაში, ზემოთ ვახსენეთ, რომ არსებობს არასავალდებულო არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გარკვეული ხერხები, თუმცა ყოველთვის არსებობს იმის შანსი, რომ მსგავსი პროცედურების შესრულების ეტაპზე, მხარეებს მაინც მოუწიოთ სასამართლოსთვის მიმართვა, რაც თავის მხრივ ონლაინ არბიტრაჟის ყველანაირი დადებითი მხარეების კომპენსირებას ახდენს.

სავალდებულო ონლაინ არბიტრაჟის პროცესი სრულდება არბიტრების მიერ საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ. ტრადიციული არბიტრაჟის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების ხელშესაწყობად არსებობს გარკვეული საერთაშორისო ინსტრუმენტები, რომელიც უზრუნველყოფენ ამ პროცესის ჯეროვნად წარმართვას, რა თქმა უნდა ამ ინსტრუმენტებში პირველ რიგში ისევ ნიუ იორკის კონვენცია იგულისხმება. განსხვავებით ტრადიციული არბიტრაჟისგან, ონლაინ არბიტრაჟის პროცესის შინაარსიდან გამომდინარე, რადგან იგი წარმოებს ვირტუალურ სამყაროში, შესაძლოა გარკვეულ სირთულეებს გადავაწყდეთ აღსრულების ეტაპზე.

ძალიან ხშირად მხარეების ინტერესშიც შედის ონლაინ არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, რადგან ეს პირველ რიგში ეხება მათ რეპუტაციას და ასევე, ხშირად მხარეებს არ აწყობთ ერთმანეთთან ურთიერთობის გაფუჭება და სამომავლო პერსპექტივაში უფრო მეტი ზიანის მიღება, ვიდრე ეს ამ ეტაპზე გადაწყვეტილების არ შესრულებით მოტანილი სიკეთე იქნებოდა. საფუძველი გადაწყვეტილების აღსრულებისა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, გახლავთ ნიუ იორკის კონვენცია. განსახილველია ის ფაქტი, მოქმედებს თუ არა აღნიშნული კონვენცია ონლაინ არბიტრაჟის შემთხვევაშიც და შესაბამისად, არის თუ არა აღჭურვილი ონლაინ არბიტრაჟი იგივე უზრუნველყოფებით, რომლებიც ტრადიციული არბიტრაჟის შემთხვევაში გვხვდება.

[76] KAUFMANN-KOHLER Gabrielle, Arbitral Precedent: Dream, Necessity or Excuse? გვ.19, 20.

პირველ რიგში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ნიუ იორკის კონვენციისა და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ კანონის მიხედვით[77], ასევე ძალიან ბევრი ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით[78], აუცილებელია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იყოს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იყო მისი გამომტანი არბიტრების მიერ. ონლაინ არბიტრაჟის შემთხვევაში ხშირად ხელმოწერა ხდება ციფრული სახით და პირდაპირი გაგებით წერილობითი მატერიალური ფორმით არ არსებობს. დღევანდელ რეალობაში ეს დეტალი აღარ წარმოადგენს არსებით პრობლემას, გამომდინარე იქიდან, რომ ციფრული ხელმოწერის ნამდვილობა აღიარებულია კონვენციის განმარტების შედეგად და აბსოლუტურად იგივე ხასიათის მატარებელია, როგორისაც გახლავთ მატერიალური ფორმით არსებული ხელმოწერა[79].

ხშირად არბიტრაჟის პროცესის შემდგომ მხარეებს უწევთ სასამართლოში სტუმრობა და აღსრულების ეტაპზე ის რესურსების გამოყენება, რომელსაც სასამართლო თავაზობს მხარეებს. ამ შემთხვევაში ერთი შეხედვით ძნელი დასადგენია, თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართონ მხარეებმა ონლაინ არბიტრაჟის შემდეგ, რადგან პროცესი ვირტუალურ სამყაროში მიმდინარეობს და რეალურად, მატერიალური გაგებით, ერთ რომელიმე ადგილას არ ტარდება, ანუ ვაწყდებით პრობლემას, გადაწყვეტილების „ეროვნების“ გარკვევის ეტაპზე[80]. თუმცა, აქვე შეგვიძლია მარტივად გადავჭრათ ეს პრობლემა იმ გზით, რომ ონლაინ არბიტრაჟის დროს არბიტრაჟის ადგილს მხარეები ირჩევენ წინასწარი შეთანხმების შედეგად და გადაწყვეტილების ეროვნულობის წარმომავლობაც ამ გზით შეგვიძლია დავადგინოთ.

რაც შეეხება გადაწყვეტილების დედანის გამოყენებას, რომელსაც ასევე ნიუ იორკის კონვენცია გვიდგენს, ამ შემთხვევაშიც ზუსტად იმ გზით შეიძლება

---

[77] "Form and contents of award: the award shall be made in writing and shall be signed by the arbitrator or arbitrators. In arbitrator proceedings with more than one arbitrator, the signatures of the majority of all members of the arbitral tribunal shall suffice, provided that the reason for any omitted signature is stated". იხ. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration (1985წ.)

[78] According to the Section 52 (1) UK Arbitration Act of 1996წ, "the parties are free to agree on the form of the award". But, if there is no such agreement, the award shall be in writing signed by all the arbitrators or all those assenting to the award. Regarding US law, federal law refers explicitly to the New York Convention (Chapter 2 §202 of the Federal Arbitration Act of 1925წ.). Regarding US state law, Section 8 of the Uniform Arbitration Act of 1955წ. (UAA) requires that the "award shall be in writing and signed by arbitrators joining in the award". იხ. MOREK Rafal, Online Dispute Resolution, გვ.43.

[79] WANG Fangfei Faye, Online Disputre Resolution: Technology Management and Legal Practice from an International Perspective, Chandos, Oxford (2009წ.) გვ.89, 90.

[80] HERBOCZKOVÁ Jana, Certain Aspects of Online Arbitration, გვ.10, 11.

წასვლა, რომ ციფრული სახით დოკუმენტების არსებობა იძენს იგივე ძალას, რაც მატერიალური სახით არსებულ დოკუმენტებს შეუძლიათ[81]. ეს მეთოდი რომც არ გამოდგებოდეს, არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს ვირტუალ სამყაროში შექმნილი დოკუმენტების მატერიალურად გარდაქმნა და მათი ამ ფორმით წარმოდგენა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ არბიტრაჟს აქვს ყველანაირი რესურსი იმისა, რომ მოახდინოს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილების მიღება და ამ პროცედურით მიღებულ გადაწყვეტილებას ქონდეს ზუსტად იგივე სახის ძალა, როგორიც აქვს ტრადიციული არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას[82]. რათქმაუნდა სამომავლო პერსპექტივაში სასურველი იქნებოდა არსებულ საერთაშორისო რეგულაციებში ონლაინ არბიტრაჟზე მეტი კონკრეტიკა და მისი აღსრულების შესახებ დეტალური მოწესრიგებების გაწერა, რომ არ გვქონდეს სამსჯელოდ და განსახილველად ონლაინ არბიტრაჟის პროცესში შესრულებული პროცედურების შეთავსებადობა და ნამდვილობა[83].

## VII. დავების ონლაინ გადაწყვეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დავების გადაწყვეტის პროცესში ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიის (ICT) გამოყენება ცვლის მხარეების პროცესში მონაწილეობის დინამიკას. აქედან გამომდინარე სახეზე გვაქვს ICT-ის გამოყენების შედეგად წარმოქმნილი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ზოგადად დავების გადაწყვეტაში ICT-ის გამოყენების არსი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნას დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებების ისეთი პლატფორმა, რომელიც მოახერხებს დადებითი მხარეების მაქსიმალიზირებას და უარყოფითი მხარეების მინიმალიზირებას, რამაც თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს

[81] "To obtain the recognition and enforcement mentioned in the preceding article, the party applying for recognition and enforcement shall, at the time of the application, supply: (a) The duly authenticated original award or a duly certified copy" იხ. The New York Convention, 10 ივნისი, 1958წ, მუხლი 4

[82] YÜKSEL, Armağan Ebru Bozkurt, გვ.92, 93.

[83] P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR, გვ.68, 69.

დავების გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების უპირატესობა, ტრადიციულ საშუალებებთან მიმართებაში[84].

1. **დავების ონლაინ გადაწყვეტის დადებითი მხარეები:**

დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებების პოპულაროლობას განაპირობებს ის დადებითი მხარეები, რომლებიც მან მოიპოვა ICT-ის გამოყენების ხარჯზე. ODR-ის ძირითად დადებით მხარეებად მიჩნეულია: დროის დაზოგვა, პროცესის მოხერხებულობა, ხარჯების შემცირება, პროცედურების კონტროლის საშუალება დაინტერესებული მხარეების მიერ, შესაძლო შედეგებზე კონტროლი და კანონზომიერება.

ინდივიდუალურად განვიხილოთ ზემოთხსენებული უპირატესობები:

**1.1 დროის დაზოგვა**

დღევანდელ რეალობაში საკმაოდ მიღებულია ფრაზა „დრო ფულია", რაც რა თქმა უნდა აბსოლუტურად პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ და ყველანაირად ვეცადოთ არსებული რესურსებით მივაღწიოთ მის დაზოგვას.

დავების გადაწყვეტის პროცესში ინტერნეტის გამოყენება აჩქარებს პროცესის მიმდინარეობას, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეები მეტად არიან მორგებული პროცესს, როდესაც იყენებენ დავების გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების არასინქრონირებულ კომუნიკაციას, რაც მდგომარეობაში იმაში, რომ დავების ონლაინ გადაწყვეტა აძლევს მხარეებს საშუალებას იმუშაონ დროის ნებისმიერ მონაკვეთში და არ იყონ დამოკიდებული გაწერილ სასამართლო საათებზე და წინასწარ დაგეგმილ და მომზადებულ შეხვედრებზე[85]. ონლაინ ტექნოლოგიების გამოყენება ასევე ხელს უწყობს ისეთი პრობლემების თავიდან არიდებას, როგორიცაა მატერიალური გაგებით პროცესში მონაწილეობა, ანუ პროცესის ჩატარების ადგილზე ფიზიკური დასწრება, რაც შეიძლება მოიცავდეს დროის გამყვან ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა დანიშნულების ადგილზე მისვლის უზრუნველყოფა და სხვა შესაძლო ტექნიკური შეფერხებები. შესაბამისად ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით გადაწყვეტილების მიღებაც შედარებით მცირე ვადებში ხდება[86],

---

[84] P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR, გვ.56.

[85] P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR, გვ.56..

[86] United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ. გვ.6.

რაც მონაწილე მხარეებისთვის უდიდესი რესურსის დაზოგვის საშუალებას იძლევა.

## 1.2 პროცესის მოხერხებულობა

არასინქრონირებული კომუნიკაციების გამოყენება მხარეებს აძლევს სრულ თავისუფლებას და შესაძლებლობას წარმოაჩინონ თავიანთი პოზიცია სრულად, ისე რომ, გამოირიცხოს ყოველგვარი დაშინება ან ე.წ. ბულინგის სხვადასხვა ხერხები[87], რაც არსებულ რეალობაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია პრაქტიკული თვალსაზრისით. ასევე შეიძლება ითქვას, რომ არასინქრონირებული კომინიკაციები ეხმარება ადამიანებს დაფიქრდნენ თავიანთ პოზიციებზე და წარმოსათქმელ სიტყვებზე უფრო ღრმად და შინაარსობრივად, სანამ გაგზავნიან შეტყობინებებს, ვიდრე ეს ხდება ვერბალური კომუნიკაციის დროს[88]. ის ასევე ქმნის კომუნიკაციის ისეთ სახეებს, რომლებიც არ გამოიყენება ფორმალურ არაონლაინ სამართლებრივ პროცედურებში. პონტე და კავენაგი თვლიან, რომ დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებები ხშირად იყენებენ კონფიდენციალურ პროცედურებს, რომლებიც ახალისებენ მხარეებს, იყონ მეტად გულწრფელები სანდო გარემოცვაში[89]. დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებები ხელს უწყობენ მხარეებს მომენტალურად და მყისიერად დაიწყონ მუშაობა კონკრეტულად დავების გადაწყვეტაზე და თავი აარიდონ ისეთ ფორმალურ პროცედურებს, რომლებიც საჭიროებს დროისა და ხარჯების რესურსს[90]. რაც შეეხება მესამე მხარეებს, ეს გარემო მათ აძლევს საშუალებას გააგრძელონ მხარეების დახმარება და ჩართულები იყონ პროცესში, მიუხედავად მათი ადგილსამყოფელისა და დატვირთული გრაფიკისა[91].

---

[87] P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR, გვ.57.

[88] Kaufmann-Kohler Gabrielle & Schultz Thomas (2004) 23; Shah (2004წ.) 20; Baumann (2002წ.) 1233;
Rule (2002) 63–64; Wahab (2004წ.) 130.

[89] Ponte & Cavenagh, On-Line Arbitration (2005წ.) 24.

[90] Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007), გვ.92.

[91] P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR, გვ.62.

### 1.3 ხარჯების შემცირება

დავების ონლაინ გადაწყვეტა გვთავაზობს შედარებით მცირე ფასს, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს მოგზაურებისა და საცხოვრებელი სადგომით უზრუნველყოფის ხარჯები, რომლებიც ხშირად იმაზე მეტია, ვიდრე არსებული დავის ღირებულება, რაც თავის მხრივ, დავის წამოწყებას საერთოდ აზრსმოკლებულს ხდის. აქედან გამომდინარე, გარემო და პროცესი, რომელსაც გვთავაზობს დავების ონლაინ გადაწყვეტა შესაბამისად ახდენს ხარჯებისა და დროის ეფექტურ შემცირებას[92]. ეს ყოველივე ასევე ქმნის შესაძლებლობას, დავების ონლაინ გადაწყვეტა გამოყენებული იქნას შედარებით მცირე ღირებულების დავების გადასაწყვეტად და შესაბამისად, ზრდის მომხმარებლის წვდომას სამართლიანობის ძიებასთან.

### 1.4 პროცედურების კონტროლის საშუალება დაინტერესებული მხარეების მიერ

დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს აქვს გამორჩეული უპირატესობები პროცესის მიმდინარეობისას, რაც თავისთავად შესაძლებელია დამატებულ იქნას დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების სერვისებში და მოვიაზროთ მათ ნაწილად. ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა რაც აქვს დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს არის ის, რომ მხარეებს აქვს უდიდესი კონტროლი პროცესსა და გადაწყვეტილების მიღებაზე. უპირველეს ყოვლისა, კონსენსუალური დავის ონლაინ გადაწყვეტის დროს, მხარეები ქმნიან საკუთარ შეთანხმებას მესამე მხარეებისგან დამოუკიდებლად. შედეგად, შესაძლოა ყოველთვის სახეზე არ იყოს პირდაპირი გამარჯვებულები ან დამარცხებულები[93]. მხარეებს შეუძლიათ შეარჩიონ ყველაზე მისაღები ნეიტრატული მესამე მხარეები და პროცესი. ნეიტრალური მესამე მხარეები არიან ექსპერტები კონკრეტულ საკითხებში, რამაც შეიძლება გამორიცხოს იურისტების, დამატებითი ექსპერტების და მოწმეების საჭირეობა პროცესის მიმდინარეობისას[94]. კონტრასტისთვის შეიძლება ითქვას, რომ მოსამართლეები ვალდებულნი არიან მიყვნენ არსებულ პროცესებსა და პრეცენდენტებს. როდესაც გამოიყენება კონსესუალური დავებისას ონლაინ გადაწყვეტის მეთოდები, მათ მიერ შემოთავაზებული პროცედურები არის უფრო მოსახერხებელი,

---

[92] Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007), გვ.92.

[93] Wissler, Mediation and Adjudication in Small Claims Court: The Effects of Process and Case Characteristics, (1995წ.) 324.

[94] Ponte & Cavenagh, On-Line Arbitration, (2005წ.) 26.

მორგებული და არ დგას საჭიროება იმისა, რომ მხარეები წარმოდგენილი იყვნენ სამართლის პრაქტიკოსების მიერ.

ასევე პროცესის მიმდინარეობის კონტროლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი არის პროცესზე გაჟღერებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების გამოყენების დროს პროცესი მიმდინარეობს პრივატურ რეჟიმში და შესაბამისად, პროცესზე გაჟღერებულ ინფორმაციასთან წვდომაც მხოლოდ მის მონაწილე პირებს აქვთ[95].

## 1.5 შედეგებზე კონტროლი

დავების ონლაინ გადაწყვეტა აძლევს მეტი კონტროლის საშუალებას მხარეებს პროცესის შესაძლო შედეგებზე, რადგან მხარეები თავად ირჩევენ შეთანხმების სახეს, პირობებს და დავის გადაწყვეტის საშუალებას, ისინი წინასწარ გეგმავენ, რა ფორმა იქნება მათთვის ყველაზე მისაღები, დავის შესაძლო წარმოქმნის შემთვევაში. ეს ყოველივე განაპირობებს იმას, რომ მხარეებს შეუძლიათ აირჩონ მათთვის ყველაზე კომფორტული გარემო და გზა დავის გადაწყვეტისა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ასეთ გარემოში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების სურვილის გაჩენის შანსი მეტია, ვიდრე ეს სასამართლოს შემთხვევაში ხდება, რადგან ძალიან ხშირად ერთი მხარე ყოველთვის უკმაყოფილია სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებით, რაც ასევე მიუთითებს ზოგადად დავების ონლაინ გადაწყვეტის ეფექტურობაზე. მხარეებს შეუძლიათ მიაღწიონ ისეთ შეთანხმებებს, რომლებშიც არ იქნებიან შეზღუდულნი კანონის ჩარჩოებით. ასევე, ეს პროცესი არის ბევრად იაფი, სწრაფი და მარტივი, ვიდრე სასამართლოში საქმის წარმოება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადაწყვეტილება ეხება საზღვარგარეთ მიმდინარე პროცესებს და ზემოთხსენებული პროცედურული პრობლემების გარდა უამრავ სხვა პრობლემას ვაწყდებით პროცესის მიმდინარეობისას.

## 1.6 კანონზომიერება

დავების ონლაინ გადაწყვეტა გახლავთ ყველაზე შესაბამისი და კანონზომიერი ხელსაწყო ონლაინ სივრცეში წარმოქმნილ დავებთან

---

[95] Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3, გვ.334.

მიმართებაში. ონლაინ საზოგადოება ეძებს საშუალებას დახვეწოს და მეტად წარმოაჩინოს ონლაინ საშუალებების სისწრაფე და ეფექტურობა[96]. თავის მხრივ, არ შეიძლება დავების ონლაინ გადაწყვეტა მიჩნეული იყოს მომხმარებლებს შორის დავების გადაწყვეტის უებარ საშუალებად[97], რადგან დავების ონლაინ გადაწყვეტა დგას ძალიან დიდი გამოწვევების წინაშე, განვითარების ეტაპზე ხვდება უამრავ სირთულეს და მისი დახვეწა საკმაოდ შრომატევადი პროცესია.

## 2. დავების ონლაინ გადაწყვეტის უარყოფითი მხარეები:

ვერც ერთი მექანიზმი ვერ იქნება სრულყოფილი და იდეალური. შესაბამისად, დავების ონლაინ გადაწყვეტასაც გააჩნია მისი უარყოფითი მხარეები. საინტერესოა რამდენად ახდენს მისი დადებითი მხარეები უარყოფითის კომპენსირებას და რა მასშტაბის არახელსაყრელ პირობებზეა საუბარი. განვიხილოთ ის სირთულეები, რომლებიც თან ახლავს დავების ონლაინ გადაწყვეტის საშუალებების გამოყენებას პრაქტიკაში, ასეთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ: პირდაპირი კონტაქტის უქონლობა, ტექნოლოგიური პრობლემები, ენის ბარიერი, სამართლებრივი სირთულეები, გუნდური თანხმობის საჭიროება და სახალხო წვდომის არარსებობა.

ინდივიდუალურად განვიხილოთ ზემოთხსენებული სირთულეები:

### 2.1 პირდაპირი კონტაქტის უქონლობა

კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახლავთ სხეულის ენა, ხმის ტონი და სახის გამომეტყველებები. ვერბალური კონტაქტის არქონამ შესაძლოა ხელი შეუწყოს იდენტურობის შეცდომაში შეყვანას და გამოიწვიოს გაუგებრობა მხარეებს შორის[98]. პირდაპირი კონტაქტის უქონლობის კომპენსირება შესაძლოა მოხდეს ვიდეო კონფერენციის საფუძველზე, სადაც მხარეებს შესაძლებლობა ექნებათ მართალია არა ერთ სივრცეში ფიზიკურად ყოფნით, მაგრამ მაინც დაამყარონ ვერბალური კომუნიკაცია, რომელიც თავის მხრივ ვერ მოახდენს პირდაპირი კონტაქტის სრულად ჩანაცვლებას[99]. ნდობის ჩამოყალიბებასა და კომუნიკაციის სწორად დამყარებაში ძალიან დიდი

---

[96] იხ. სქოლიო 69

[97] J. Hörnle Online Disputre Resolution in Business To Consumer E-commerce Transactions, (2002წ.).

[98] Conley Tyler & Melissa and McPherson, Online Dispute Resolution and Family Disputes, Journal of Famili Studies, Vol. 12, #2, (2006წ.) 11.

[99] E. Clark, G. Cho & A. Hoyle, International Business Review, (2003წ.) 14.

როლი აქვთ ნეიტრალურ მესამე მხარეება და ზოგადად ტექნოლოგიებს. ეს რა თქმა უნდა მოითხოვს ნეიტრალური მესამე მხარეებისგან გარკვეული უნარ-ჩვევებისა და სპეციალური ცოდნის ქონას. ასევე, შესაძლებელია, წერილობითი კომუნიკაციის ინტერპრეტაცია, ფიზიკური კომუნიკაციისგან განსხვავებით. გარკვეული წრის მიერ მიჩნეულია, რომ პირდაპირი კომუნიკაცია მეტად უწყობს ხელს იმ პირებს, რომლებიც არიან ფიზიკურად მიმზიდველები და მეტად აქვთ განვითარებული ორატორული უნარ-ჩვებები. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პირდაპირმა კონტაქტმა შესაძლოა გამოიწვიოს მიკერძოება რელიგიიდან, სქესიდან, ეროვნებიდან ან ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე[100]. ინტერნეტი აძლევს ადამიანებს იმის შესაძლობელობას, რომ წარმოაჩინონ თავი მაქსიმალურად და გამორიცხონ წინასწარი შეფასებები. საბოლოოდ, შეიძლება კამათი იმასთან დაკავშირებით, რამდენად წარმოადგენს პირდაპირი კონტაქტის არქონა უარყოფით მხარეს, თუმცა ამაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს და ზოგადად გასათვალისწინებელია ის შესაძლო სირთულეები, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იქნას პირდაპირი კონტაქტის არქონის გამო[101].

რაც შეეხება კონკრეტულად ონლაინ არბიტრაჟის პროცესის მიმდინარეობისას პირდაპირი კონტაქტის უქონლობას, დავების გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების დადებითი მხარეების განხილვის დროს დავაფიქსირეთ პოზიცია, რომ შესაძლოა პირიქით, ეს პლიუსიც კი იყოს და ნაკლები რესურსი არსებობდეს მონაწილე მხარეებზე ზემოქმედებისა, ამიტომ სამსჯელოა, რამდენად არის ეს დეტალი მინუსი დღევანდელ რეალობაში. ვფიქრობ, რომ ეს დეტალი შეიძლება მინუსად დარჩეს მედიაციის და ზოგადად მოლაპარაკების პროცესისთვის[102] და არა არბიტრაჟისთვის.

## 2.2 ტექნოლოგიური პრობლემები

დავების ონლაინ გადაწყვეტა უფრო მისაღებია იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აქვთ უკეთესი ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიებისა. თუმცა, კომპიუტერის მომხმარებლების რიცხვი განსაკუთრებული სისწრაფით იზრდება ბოლო ათწლეულში და შეიძლება ითქვას, დროთა განმავლობაში ეს პრობლემა მთიანად იქნება აღმოფხვრილი. დღევანდელი მდგომარეობით,

---

[100] Gibbons, Kennedy & Gibbs, Cyber-Mediation: Computer-Mediated Communications, Medium Massaging the Message, New Mexico Law Review, Vol.32 (2002წ.) 44.

[101] P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR, Rule (2002წ.) 68.

[102] Joseph W. Goodman, THE PROS AND CONS OF ONLINE DISPUTE RESOLUTION: AN ASSESSMENT OF CYBER-MEDIATION WEBSITES გვ.10.

დავების ონლაინ გადაწყვეტაში მონაწილე პოტენციურ მხარეებს აქვთ სხვადასხვა დონის ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართ და ეს რასაკვირველია გარკვეულ დისბალანსს ქმნის მათ შორის არსებული რესურსების მხრივ და შეიძლება ეს ფაქტი ჩაითვალოს დავების ონლაინ გადაწყვეტის ერთ-ერთ უარყოფით მხარედ. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ტერიტორიებზე სხვადასხვა სახის წვდომა არსებობს მსოფლიოში არსებულ ტექნოლოგოურ რესურსთან, რაც თავის მხრივ კონკრეტული მხარის მიმართ უპირატესობის მინიჭების საშიშროებას ბადებს, თუმცა ისიც ყურადღებამისაქცევია, რომ მხარეები ნების გამოვლენის შედეგად ირჩევენ ამა თუ იმ მექანიზმს და დავის წარმოშობამდე ითვალისწინებენ ამ დეტალს, რაც შესაძლოა აძლევდეს მაგ გონივრულ ვადას მსგავსი პრობლემის თავიდან ასაცილებლად.

ასევე, პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების ჩართვის შედეგად შეიძლება წარმოიშვას კონციდენციალურობის დარღვევის საფრთხე. ტრადიციული არბიტრაჟის ერთ-ერთი დადებითი მახასიათებელი სწორედ კონფიდენციალურობა გახლავთ, ონლაინ არბიტრაჟის შემთვევაში შესაძლოა ამ მხრივ პრაქტიკულ პრობლემებს გადავაწყდეთ, რომლებიც გამოწვეული შეიძლება იყოს, ვირუსების, უცხო პირების სისტემაში შეღწევის, პროგრამაში სისტემური დარღვევებისა და მსგავსი ტექნოლოგიური მიზეზების დამსახურება[103].

## 2.3 ენის ბარიერი

დღესდღეობით არსებული დავების ონლაინ გადაწყვეტის სხვადასხვა სერვისების უმეტესობა ძირითადად ენად იყენებს ინგლისურს, რაც არის ერთ-ერთი პრაქტიკული სირთულე კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის პროცესში. ამ ყოველივემ შეიძლება სირთულე შეუქმნას არამხოლოდ იმ ენის არმცოდნეს, რა ენაზეც მიმდინარეობის პროცესი, არამედ მასაც, ვისთვისაც შემოთავაზებული ენა გასაგებია, მაგრამ არ გახლავთ მისი მშობლიური ენა და იყენებს მას, როგორც მეორე ან მესამე ენად. ენის ბარიერი რეალური პრობლემაა ზოგადად დავების ონლაინ გადაწყვეტის ეფექტურობაში და ის ადამიანები, ვინც ზრუნავენ ონლაინ ტექნოლოგიების შედეგად დავების გადაწყვეტის მექანიზმების დახვეწაზე, აქტიურად ზრუნავენ ისეთი ინსტრუმენტების ინტეგრირებაზე, რომლებიც შეძლებისდაგვარად დააბალანსებს აღნიშნულ პრობლემას.

---

[103] Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007), გვ.91.

თუმცა აღნიშნული ვერ ჩაითვლება დავის გადაწყვეტის ტრადიციული მეთოდებისათვის ხელსაყრელ უპირატესობად, რადგან აბსოლუტურად იგივე რისკი არსებობს ამ პრობლემის წარმოქმნისა მსგავსი მექანიზმების გამოყენების დროს.

განსხვავებით რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლოსგან, დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებები ძირითადად იყენებ იმ ენებს, რომლებიც გახლავთ საერთაშორისო ენები და მეტია იმის შანსი, მხარეებს ქონდეთ აღნიშნული ენის ცოდნა, ვიდრე იმ ენისა, რომელსაც რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს სასამართლო სთავაზობს[104].

## 2.4 სამართლებრივი სირთულეები

არ არსებობს საერთო სამართლებრივი სტანდარტი დავების ონლაინ გადაწყვეტისთვის, რაც ქმნის გარკვეულ სირთულეებს პრაქტიკაში, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება საჯარო აღსრულებას. ეს არ არის ვიწრო და კონკრეტული პრობლემა, ეს არის ზუსტად ის სირთულე, რომელიც უამრავ დეტალს მოიცავს პრაქტიკაში და ყველა დეტალი უნდა იქნას გათვალისწინული პოტენციური დავების მოგვარების საშუალებების ძიების პირველივე ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ის პრაქტიკული პრობლემა, რომელიც დავების გადაწყვეტის ონლაინ საშუალებებს აკნინებს, რადგან მსგავსი მექანიზმების გამოყენების სურვილი მხარეებს კონკრეტული ურთიერთობის შედეგად შესაძლო წარმოქმნილი დავების მიმართ აქვთ და შესაბამისად, წინასწარ იციან თუ რა სახისა და შინაარსის დავა შეიძლება წარმოიქმნას მათ შორის და წინასწარვე ფიქრობენ, იქნება თუ არა იგი ეფექტური არსებული ურთიერთობის ფონზე.

## 2.5 გუნდური თანხმობის საჭიროება

დავების ონლაინ გადაწყვეტა მომხმარებლებს თავაზობს სხვადასხვა სახის სერვისებს, რომლებიც მიმართულია დავის გადაწყვეტისაკენ, თუმცა დავის წარმოქმნის შემთხვევაში არსებობს საშიშროება იმისა, რომ მხარემ არ გამოთქვას სურვილი პროცესში მონაწილეობაზე და რეალურად უმეტეს შემთხვევებში არ არსებობს იმის მექანიზმი, რომ მხარე იძულების წესით

---

[104] Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3, გვ.342.

ჩართო პროცესში[105]. ეს რიგ შემთხვევებში ხაზს უსვამს ზოგადად დავების ონლაინ გადაწყვეტის ნაკლებ ეფექტურობას გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში და მისი შინაარსიდან გამომდინარე დავების ონლაინ გადაწყვეტის უამრავ სერვისს არ გააჩნია ამ უხერხულობის თავიდან არიდების საშუალებები.

### 2.6 სახალსო წვდომის არარსებობა

დავების ონლაინ გადაწყვეტის მიერ შეთავაზებული სერვისები, როგორც წესი, აწარმოებს კონფიდენციალურ პროცესებს, რომლებმაც შესაძლოა დაფარონ მნიშვნელოვანი ინფორმაციები წუნდებული პროდუქტის, ცუდი მომსახურების, დისკრიმინაციული პრაქტიკის და სხვა არაეთიკური ბიზნეს გარემოების შესახებ, რომლებიც იქნება მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი მომხმარებლებისთვის. ზემოთხსენებული ფაქტების საჯაროდ ცნობის შედეგად, შესაძლოა მომხმარებლებს გაეთვალისწინებინათ ეს ყოველივე და არჩევანის გაკეთებისას განსხვავებული გადაწყვეტილება მიეღოთ. მსგავსი შემთხვევებისგან დაცვის ფუნქცია აკისრია საჯარო მმართველობას და არა დავების გადაწყვეტის ონლაინ საშუალებებს. დავების ონლაინ გადაწყვეტა შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც სწრაფი და სამართლიანი საშუალება მომხმარებლის მიერ კომპენსაციის მიღებისათვის.

ზემოთხსენებული სირთულეები და უარყოფითი მხარეები შესაძლებელია დაძლეულ იქნეს შესაბამისი პრაქტიკით, ტექნოლოგიებითა და კანონით[106]. თავის მხრივ, საარბიტრაჟო ინსტიტუტებმა უნდა გამოიჩინონ მონდომება და ინტერესი ტექნოლოგიური განვითარების პროცესების მიყოლის და მათი ინტეგრირებისა საარბიტრაჟო პროცესებში[107]

## VIII. საქართველოში არსებული საკანონმდებლო რესურსი არბიტრაჟის ინსტიტუტთან დაკავშირებით.

მსოფლიოში არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე საქართველოც ჩაერთო დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების საკუთარ

---

[105] Council Directive 93/13/ECC Unfair Terms Directive Annex 1 [q] OJ L095 (21 აპრილი 1993წ.).

[106] Gillieron, Online Dispute Resolution for Consumers in the Eurepean Union, (2008წ.) 319.

[107] Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007), გვ.91.

ტერიტორიაზე ინტეგრირების საკითხში. რამაც გამოიწვია ახალი დასარეგულირებელი სფეროს გაჩენა სახელმწიფოში და საჭირო გახდა საკუთარი საკანონმდებლო სიახლეებით საერთაშორისო აქტებთან ჰარმონიზაციის პროცესის დაწყება. პირველ რიგში  განვიხილოთ ნიუ იორკის კონვეციის ზოგადი როლი მისი ხელშემკვრელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, შემდგომ ვისაუბროთ ჩვენთვის საინტერესო საქართველოში მიღებულ იმ კანონებზე, რომლებიც უკავშირდება საკუთრივ არბიტრაჟის ინსტიტუტს.

1. **ნიუ იორკის კონვენცია**

ნიუ იორკის კონვენციის მიღება მოხდა 1958 წლის 10 ივნისს და სწორედ ეს კონვენცია გახლავთ ამოსავალი წერტილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასთან და აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში, კონვენციის სრული დასახელება გახლავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ. კონცენვიის მიღების ძირითადი არსი გახლავთ დადგინდეს სტანდარტი სხვა სახელმწიფოში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ [108] , თავის მხრივ კონვენცია მოქმედია ყველა იმ სახელმწიფოში, რომელიც გვევლინება კონვენციის ხელშემკვრელ წევრებად, ესეთი წევრების რაოდენობა დღესდღეოსბით 154-ს აღწევს და მათ შორისაა საქართველოც. შესაბამისად, სააბიტრაჟო ინსტიტუტთან დაკავშირებით ერთ-ერთი საკანონმდებლო რესურსი საქართველოში გახლავთ სწორედ ნიუ იორკის კონვენცია, რომელიც არის ერთგვარი გზამკვლევი იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს გარკვეულ ასპექტებში ინსტიტუტის განვითარება და რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფოში მოქმედი იურიდიული სისტემა იმისათვის, რომ არ იქნეს დარღვეული 154 ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ შეთანხმებული აქტი.

საქართველო კონვენციის წევრი გახდა 1994 წლის 2 ივნისს, ხოლო რატიფიცირება მოხდა შედარებით მოგვიანებით, 2009 წელს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ მსჯელობისას, არბიტრაჟით სარგებლობის ხიბლი მისი

[108]იხ.  NYC, მუხლი 1 (1)

გადაწყვეტილების სავალდებულო აღსრულებაში მდგომარეობს [109] და კონვენციით გათვალისწინებულია ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ამ ვალდებულების აღება[110].

აქედან გამომდინარე, არ იქნება სადავო თუ ვიტყვით, რომ ნიუ იორკის კონვენციის წევრობა ერთ-ერთი მძლავრი იარაღია დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებსაც სურთ სხვა სახელმწიფოში მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე.

## 2. საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“

არბიტრაჟის ინსტიტუტის რეგულირების პირველი მცდელობა საქართველოში იყო 1997 წელს, შეგახსენებეთ, რომ სწორედ 1997 წელს მოხდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღება. სსკ-ს მიღებამ გამოიწვია შესასწავლი და დასარეგულირებელი არეალის უდიდესი ტემპებით ზრდა და საჭირო გახდა კონკრეტული კანონების მიღება ამის უზრუნველსაყოფად.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საკმაოდ წარუმატებელი პროექტი აღმოჩნდა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი არ მოდიოდა თანხვედრაში იმ ფუნდამენტურ სტანდარტებთან, რომლებსაც ითვალისწინებდა ნიუ იორკის კონვენცია. „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველ ნაწილში ვკითხულობთ, რომ არბიტრაჟის თავმჯდომარე აღჭურვილი იყო აღსრულების მექანიზმის კონტროლით, რაც მდგომარეობს სააღსრულებლო წარწერის გაცემაში [111], რაც ზედმეტად არალოგიკური იყო იურიდიული ორგანიზაციისთვის და ამით კნინდება სახელმწიფო სასამართლოს უფლებამოსილებები მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებში.

ზემოთხსენებულმა დისბალანსმა მართალია საკმაოდ დიდი დროის გასვლის შემდეგ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამოიწვია აბსოლუტურად ლოგიკური შედეგი და აღნიშნული კანონი გაუქმებულ იქნა და ძალადაკარგულად გამოცხადდა 2010 წლის 1 იანვარს.

---

[109] როგორც უკვე ავღნიშნეთ, შესაძლოა საარბიტრაჟო შეთანხმების ეტაპზე გათვალისწინებული იქნეს პირობა, რომლის მიხედვითაც ონლაინ არბიტრაჟის პროცესის შედეგად მიღებული იქნება სავალდებულოდ აღსასრულებელი გადაწყვეტილება.

[110] იხ. NYC, მუხლი 3

[111] იხ. საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 42 (1)

## 3. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების პარალელურად, 2010 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“.

ახალი კანონი მის წინამორბედზე ბევრად უფრო დახვეწილი და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებული აღმოჩნდა. ზემოთხსენებული კანონი აბსოლუტურად იზიარებს იმ ფუნდამენტურ სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლეზეც დგას ნიუ იორკის კონვენციის ეფექტურობა და შესაბამისად, შესაძლებელია წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვალოს ქართულ რეალობაში. ამ კანონის შესწავლის შედეგად, აშკარად იკვეთება სახელმწიფოს მცდელობა მიუახლოვდეს კონვეციის ხელშეკვრელ წევრ სახელმწიფოებში არსებულ პრაქტიკას და ამის ფონზე მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საერთაშორისო პრაქტიკასა და აქტებთან მიმართებაში.

საქართველოს კანონის „არბიტრაჟის შესახებ“ მიერ უზრუნვეყოფილია სააბიტრაჟო პროცესის დამოუკიდებლობა და პრევენცირებულია სასამართლოს ჩარევა რაიმე სახით, გარდა ამავე კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა[112]

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საუბარია კანონის მერვე თავში და მითითებულია ზუსტად ის პირობა, რომელსაც ნიუ იორკის კონვენცია ითვალისწინებს, საუბარი მაქვს, გადაწყვეტილების აღსრულების სავალდებულოობაზე მიუხედავად გადაწყვეტილების მიღების ადგილისა[113].

კანონი ასევე ითვალისწინებს ყველა იმ პროცედურის საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფას, რომლებიც განხილული იქნა ნაშრომის სხვა და სხვა ეტაპებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზემოთხსენებული კანონი წარმატებული მცდელობაა საქართველოში არსებული პრაქტიკის ჰარმონიზაციისა საერთაშორისო სტანდარტებთან, რომელიც გაწერილია საკმაოდ მარტივი ენით, იმისათვის რომ გასაგები იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ.

---

[112] იხ. საქართველოს კანონი ”არბიტრაჟის შესახებ“, მუხლი 6 (1) (2)

[113] იხ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ 44 (1)

## IX. ონლაინ არბიტრაჟი და ელექტრონული კომერცია

კიბერ სივრცე რეალურად გადაიქცა უდიდეს გლობალურ ბაზრად, რომელსაც არ გააჩნია დადგენილი საზღვრები. მაღალი დონის ინფორმაციოლმა ტექნოლოგიებმა შთააგონა კომერციული სამყარო შეექმნა საკუთარი პლატფორმა კიბერ სივრცეში და ამის შედეგად მოხდა ელექტრონული კომერციის ჩამოყალიბება, რის შედეგად ინტერნეტი იქცა უალტერნატივო ხელსაწყოდ ბიზნეს სამყაროს წევრებისათვის [114] . ელექტრონული კომერცია მალევე გახდა პოპულარული იმის ხარჯზე, რომ ონლაინ ტრანზაქციები ბევრად უფრო სწრაფი და იაფია, ვიდრე ამას სხვა ალტერნატიული საშუალებები თავაზობდნენ მომხმარებლებს, ასევე თავის მხრივ, ამ პროცესებმა გამოიწვია ბაზარზე კონკურენციის აქტიური ზრდა[115]. ამ ყველაფრის ფონზე ლოგიკურია ის ფაქტი, რომ ზემოთხსენებულ ბაზარზე მონაწილე მხარეებს შორის არსებული დავების რიცხვმაც საგრძნობლად იმატა, რამაც მოიტანა მოცემულობა იმისა, რომ მსგავსი ტიპის დავებზე მორგებული დავის გადაწყვეტის რომელიმე საშუალება გამხდარიყო მომხმარებლებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და მათ ინტერესებზე მორგებული, ზუსტად ამ პერიოდიდან იწყება ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტის პოპულარობის ზრდა და საზოგადოებრივი ინტერესის ეპიცენტრში მოქცევა[116].

2000 წლიდან მოყოლებული, რვა ათას კონფლიქტზე მეტი იქნა მოგვარებული ონლაინ არბიტრაჟის დახმარებით, ამასთან ერთად დაახლოებით ორ მილიონზე მეტი ონლაინ ტრანზაქცია იქნა ნაშუამავლები ან შეთანხმებით მიღწეული. ODR-ის მექანიზმის გამოყენება არის იდეალური შესაძლებლობა, რომელიც ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოგვიტანა [117] . ODR-ის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე აშკარა გახდა ის ფაქტიც, რომ როგორც ODR-ის სისტემას ეწყობა ხელი ინტერნეტ სივრცის განვითარების მეშვეობით, ზუსტად იგივენაირად უწყობს ეს ინსტიტუტი ინტერნეტ სფეროში მოხმარებადი გარკვეული მექანიზმების განვითარებას ხელს, რადგან დავების ონლაინ განხილვის დროს, აუცილებელია სხვადასხვა სახის ტექნოლოგიების განხილვის პროცესზე მორგება, დახვეწა და მეტად

---

[114] Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3, გვ.325.

[115] Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3, გვ.326.

[116] Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3, გვ.327.

[117] P. Pavlou & D. Gefen, 'Building Effective Online Marketplaces With Institution-Based Trust', Information Systems Research, Vol. 15, 2004წ.

ადაპტირება არბიტრაჟის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებში. ODR-ის კარგი რეპუტაციაც თავის მხრივ სწორედ იმ სიკეთეებზეა დამყარებული, რასაც მას ტექნოლოგიური განვითარება მატებს, ამაში პირველ რიგში იგულისხმება დროისა და ხარჯების დაზოგვა, რაც კონკრეტულად ონლაინ არბიტრაჟს ხდის ძალიან მიმზიდველს და ეკონომიურს სხვა ტრადიციულ მეთოდებთან მიმართებაში.

ამჟამად, დავების საფუძვლები და მიზეზები უამრავია, მიუხედავად იმისა თუ რა სფეროში წარმოიქმნება ის. ისინი განსხვავდებიან არა მხოლოდ მიზეზებით, არამედ განვითარების დიაპაზონით, შეიძლება იყოს შეცდომაში შემყვანი, არაკეთილსინდისიერი პრეტენზია ან საერთაშორისო დონის საკითხი. ონლაინ დავის წარმატებულად გადაწყვეტა, როცა ის დაბალანსებულია არბიტრის მიერ ნიშნავს, იმის შესაძლებლობას რომ თანამშრომლობა დამყარდეს დაპირისპირებულ მხარეებს შორის და ამასთან ერთად მოახდინონ იმ ონლაინ ტექნოლოგიების ათვისება, რომლებიც მათ დავის გადაწყვეტაში დაეხმარება. საზოგადოებას აქვს იმის ინტერესი, რო მოახდინოს დავების მოგვარება სხვა და სხვა ლოკაციებიდან და არ ქონდეს იმის ვალდებულება, რომ პირადად გამოცხადდეს რომელიმე კონკრეტულ ადგილას, რომელიც თავის მხრივ გარკვეული რესურსების დახარჯვასთან იქნება დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ რეალობაში ტრანზაქციების აბსოლუტური უმეტესობა უზრუნველყოფილია ინტერნეტ ტექნოლოგიების მიერ, ODR გვევლინება სწორედ იმ პლატფორმად, რომელიც ხდება ყველაზე დახვეწილი იარაღი დავის გადაწყვეტის საშუალებების წარმოქმნასა და განვითარებაში.

1990–იანი წლების დასაწყისში, კიბერ აქტიურობის დინამიკა სრულიად განსხვავდებოდა იმ ონლაინ მიჯაჭვულობისგან, რომელსაც დღესდღეობით ჩვენ განვიცდით, დროთა განმავლობაში ინტერნეტზე დამოკიდებული პროცედურების რიცხვი იმატებს. ისეთი მოქმედებები, როგორებიცაა ინტერნეტით ნივთების შესყიდვა, ფსონების დადება და პერსონალური მონაცემების გააშკარავება, მინიმუმამდე იყო დაყვანილი. თუმცა, იმავე ათწლეულის მეორე ნახევარში, ონლაინ ვაჭრობამ უდიდესი წინსვლა განიცადა, იმ გარემოების გამო, რომ ისეთი სავაჭრო მაგნატები გამოჩნდნენ ბაზარზე, როგორებიცაა: Ebay, Amazon და Microsoft. სხვა სიტყვებით, ეს იყო ათვლის წერტილი დროში, როცა კიბერ-ბაზარმა და ელექტრონულმა კომერციამ დაიწყო ბაზარზე აქტიურად შესვლა, რამაც უდიდესი წინსვლა განიცადა ძალიან მოკლე დროში.

ამ ყოველივეს შემდეგ, ასევე არის განხილვა იმასთან დაკავშირებით, რომ კომერციული დავები, რომლებიც ონლაინ არბიტრაჟით წყდება უნდა

შეიცავდნენ ონლაინ ფინანსურ ტრანზაქციებთან მიახლოებულ უკვე არსებულ წესებს, მაშინ, როდესაც ინტერნეტ სივრცე განხილული უნდა იყოს როგორც ახალი გლობალური შესაძლებლობა [118] . ამასთან ერთად, ეს კონკრეტული დავები მოგვარებული უნდა იყოს უკვე არსებული საკანონმდებლო რეგულაციების გათვალისწინებით, ასევე უნდა გავითვალისწინოთ ყველა ის დადებითი მხარე, რომელიც ინტერნეტ სივრცეში არსებულ მექანიზმებს შეუძლიათ შემოგვთავაზონ. ამ გზით, მხარეებს უფრო მეტი თავდაჯერებულობა ექნებათ, როდესაც აირჩევენ დავის გადაწყვეტის ონლაინ საშუალებების მექანიზმებიდან ერთ-ერთს. თუმცა, ამ ბალანსის მეორე მხარეს არის ის გარემოება, რომ ტრადიციული არბიტრაჟის მექანიზმი უფრო რეალური და მნიშვნელოვანი ჩანს და ეს განპირობებულია საპროცედურო წესებით, რომლებიც წარმართავს მთლიან პროცესს[119]. სწორედ ამიტომ საერთაშორისო სამართალი საწყისია ონლაინ არბიტრაჟისთვის, ვინაიდან ის ჩამოყალიბდა საქმეების უწყვეტი განხილვებისგან, ურთიერთთანამშრომლობისგან და სამართლებრივი შემეცნებისგან. ჯამში, გლობალური, საერთაშორისო რეგულაციები ბევრად უფრო ეფექტური და შედეგიანი ხელსაწყოა, როდესაც საქმე ეხება ვირტუალურ დავებს.

დოგმატური კვლევებიდან გამომდინარე, ონლაინ დავების ფართო განმარტება არის - სამყარო, სადაც ფულადი მონაპოვარი არის მიზანი და სადაც მხარეებს აქვს განსხვავებული შეხედულებები ამ მიზნის სამართლიანობის მიმართ. ონლაინ ტრანზაქციაში მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ მხარე  მზადაა შეისყიდოს გარკვეული ნივთი და რეალურ სამყაროში მოახდინოს ამ ნივთის დაუფლება. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი თანახმაა მომწოდებელთან საქმის დაჭერისა, სავალდებულოა რომ მთელ ამ პროცედურაში აუცილებლად არსებობდეს რეალური შესასყიდი ობიექტი და მიზანშეწონილი დროის პერიოდი, რომელშიც მყიდველი ფიზიკურად მიიღებს ამ ნივთს. ძალიან ხშირად კლიენტებს ურჩევნიათ იყიდონ იაფფასიანი ნივთები და ყურადღებას არ აქცევენ ფასისა და ხარისხის პროპორციებს, ესეთ დროს მონაპოვარი ავტომატურად წარუმატებელია[120]. სწორედ ამ მიზეზის გამო, ონლაინ ვაჭრობის კომპანიებმა, როგორებიცაა Amazon და Ebay, შემოიღეს მიმოხილვის და რეიტინგების პოლიტიკა, ამ გზით კლიენტებს შეუძლიათ დაწერონ თავიანთი აზრი ამა თუ იმ პროდუქციის შესახებ. ასეთი ბიზნესების მფლობელები საკუთარ

---

[118] Philippe, ‘Where Is Everyone Going with Online Dispute Resolution (ODR)?’, IBLJ/RDAI, Vol.13, 2002წ.

[119]Thomas  Schulz, ‘Drive-Thru Arbitration in the Digital Age: Empowering Consumers Through BindingODR’,Baylor Law Review, Vol. 62, 2010წ.

[120] L. Ponte & D. Cavenagh,Cyber Justice, Online Dispute Resolution for E-Commerce, Prentice HallPublishing, Upper Saddle River, 2004წ.

პროდუქციას არეკლამებენ მაშინ, როდესაც მისი შემფასებელი სრულიად უცხო ხალხია, რომლებსაც საერთო მხოლოდ ინტერნეტ სივრცე აქვთ და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, მთავარი მიზანი რატომაც კომპანია ეკითხება საკუთარ მომხმარებელს აზრს პროდუქციის ღირებულებისა და ხარისხის შესახებ არის ის, რომ კომპანიისათვის ყველა საზიანო ფაქტორი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. მთელი ეს სქემა ნაწილია გამოხმაურების პოლიტიკისა (Feedback Policy), ანუ პროდუქციაზე საკუთარი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა, რომელსაც ბიზნესებს ქვეკონტრაქტორები თავაზობენ, მოგვიანებით, მათი მიზანი ხდება არბიტრაჟის საშუალებით მომსახურება გაუწიონ კომერციული ხასიათის პრობლემურ საკითხებს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის და ამ უკანასკნელს შესთავაზოს მისი გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატივა ისეთ შემთხვევებში, სადაც შესყიდული ნივთის ბედი საფრთხის ქვეშ არის დაყენებული.

კვლევები გვიჩვენებს, რომ მილიონობით კონფლიქტი მოგვარდა საკმაოდ მოკლე დროში იმის შემდეგ, რაც წარმატებულად დაინერგა დავის გადაწყვეტა მომხარებლებისთვის, მედიაციისა და ონლაინ არბიტრაჟის გამოყენებით. საქმის ასეთი წარმართვა მომხმარებელს ხდის ბევრად უფრო თავდაჯერებულს და ნდობით აღჭურვილს, აწარმოოს პროცედურა ონლაინ შესყიდვით და მაქსიმალურად აარიდოს თავი კომპრომისის ქვეშ დაყენებულ ტრანზაქციებს. ამჟამად კომპანიები „Ekomi“ და „SquareTrade“ საკმაოდ ცნობილი სახელებია ბიზნეს სივრცეში, რომლებიც მომხმარებელს თავაზობენ გამოხმაურებისა და რეიტინგების იდეალურ სისტემას და ამის გათვალისწინებით მათთან კავშირში დავის მოგვარება უფრო მარტივად ხდება. ამ და მსგავსი კომპანიების აქტიურობის მთავარი იდეა ეფუძნება იმას, რომ მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ არსებობს ონლაინ გაერთიანება და სადისკუსიო სივრცე, სადაც შეუძლიათ დაწერონ საჩივრები და შენიშვნები, მიუხედავად მათი იურისდიქციული წევრობისა[121].

ინტერნეტ სივრცეში კომერციული ტრანზაქციების განვითარებამ შექმნა იმის საჭიროება, რომ არსებობდეს ეფექტური მექანიზმი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ შეიქმნა ODR-ის პლატფორმა, ის რაც ყველაზე მეტად ჭირდებოდათ მომხმარებლებს, რათა მათი პრობლემები სწრაფად და ადეკვატურ ფასში მოგვარებულიყო. ონლაინ არბიტრაჟი გვთავაზობს ტრადიციული მექანიზმის განახლებას. აკადემიურ წყაროებს თუ დავუჯერებთ, ონლაინ არბიტრაჟი უმნიშვნელოვანესი ხელსაწყოა

[121] Thomas Schultz, Information Technology and Arbitration – A Practitioner's Guide, Vol. 21, Kluwer LawInternational, Alphen aan den Rijn, 2006წ.

ონლაინ ბიზნესების არსებობისთვისა და უზრუნველყოფისათვის. მიუხედავად ამისა, არსებობს უამრავი იურიდიული წინაღობა ODR-ის საქმიანობაშიც, თუმცა არ არსებობს პრობლემა, რომლის მოგვარებაც შეუძლებელია მისთვის, ონლაინ არბიტრაჟისა და შესაბამისი კანონიერი ხელმძღვანელობის გამოყენებით. ODR უზრუნველყოფს კანონთან და სამართალთან წვდომას და ამასთან ერთად მომხმარებელს უქმნის ნდობის განცდას ონლაინ შესყიდვების მიმართ, რაც აუცილებელი პირობაა წარმატებული ონლაინ გაყიდვების სქემის არსებობისთვის.

საინტერესოა ასევე ის საკითხიც, რომ დღევანდელი ონლაინ არბიტრაჟის პროცედურებს აკლიათ მკაცრად განსაზღვრული კანონიერი ხელმძღვანელობა. დღესდღეობით ონლაინ არბიტრაჟი გარკვეულწილად ისევ განისაზღვრება ტრადიციული საარბიტრაჟო წესებით, თუმცა ODR რეკორდული სისწრაფით ვრცელდება მთელს მსოფლიოში. მისი მიზანია თავიდან აიცილოს ტრადიციული სასამართლო პროცესი ონლაინ არბიტრაჟის სასარგებლოდ და ასევე მინიმუმამდე დაიყვანოს ხარჯები. ასეთი დავების შესაბამისი და ობიექტური სამართლებრივი მიმოხილვა დაასრულებს ნებისმიერ სოციალურ ეჭვს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურად აგვარებს დავებს ODR-ის მიერ შემოთავაზებული სხვადასხვა საშუალებები. მიუხედავად იმისა, რომ ის სრულიად ახალი კონცეფტია თანამედროვე სამყაროში, ონლაინ დავის გადაწყვეტა ფეხს იკიდებს ელექტრონული კომერციაში და საკმაოდ დიდი მხარდაჭერით სარგებლობს კონტრაქტორებისაგან[122].

ონლაინ არბიტრაჟს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც აქვს, რომელთა დაბალანსებაც საჭიროა მისი ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ონლაინ არბიტრაჟი, როგორც ODR-ის სპეციფიკური სერვისი, ცდილობს თავდაჯერება შემატოს ონლაინ მომხარებლებს. მას დანამდვილებით აქვს დადებითი მხარეები, როგორებიცაა - დავის სწრაფი მოგვარება, მომხმარებლის მიმართ არაოფიციალური დამოკიდებულება და შემცირებული ხარჯები. ამასთან ერთად ვხვდებით უარყოფით მხარეებსაც - საკანონმდებლო ჩარჩოების არარსებობა, გადაწყვეტილების აღსრულებისას წარმოქნილი პრობლემები, მონაცემთა კონფიდენციალურობის დარღვევის რისკი და საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ მიუწვდომლობა. თუ არ იქნება ნდობა მომხმარებლის თვალსაწიერიდან, ეს მეთოდი ფართო მასებისგანაც იგნორირებული იქნება, რაც საერთო ჯამში ზიანის მომტანია ზოგადად ინტერნეტისთვის და კერძოდ, ელექტრონული კომერციისთვისაც.

---

[122] J. Poudret & S. Besson,Comparative Law of International Arbitration, Sweet and Max-well, London, 2007წ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ODR-ის სისტემა და კონკრეტულად ონლაინ არბიტრაჟი არ არის სრულყოფილი მექანიზმი, ის მაინც რჩება ყველაზე პრაგმატულ იარაღად, რომელსაც შეუძლია გაუმკლავდეს დღევანდელ სწრაფად განვითარებად ტექნოლოგიურ პროგრესს და მასთან არსებულ გამოწვევებს. ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ელექტრონული კომერციის დღევანდელი მდგომარეობა და სავარაუდოდ სამომავლო პერსპექტივა იძლევა რეალურ იმედს ODR-ის მიერ შემოთავაზებული სერვისების უალტერნატივობისა გარკვეული დროის შემდეგ და აბსოლუტურად რეალურია ის გარემოება, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ინტეგრირება ონლაინ სისტემებში, შექმნის უკონკურენტო მექანიზმებს დავების განხილვისა, რაც შობს ახალ ერას დავების გადაწყვეტის ინსტიტუტებში.

## X. ონლაინ არბიტრაჟის პერსპექტივა

დროთა განმავლობაში უფრო აქტიურად და მეტი წარმატებით ხორციელდება დავების მოგვარების სამყაროში ODR-ის და კონკრეტულად ონლაინ არბიტრაჟის ინტეგრირება. ეს პროცესი გამოწვეულია ზუსტად იმ დადებითი მხარეების ქონის შედეგად, რომლებზეც ნაშრომში გვქონდა საუბარი. ინტერნეტი და კომპიუტერული ტექნოლოგიები დღევანდელი რეალობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ნებისმიერი საჭირო ინსტიტუტი უნდა აყვეს თანამედროვე ტენდენციებს და გამოიყენოს ნებისმიერი რესურსი, რომელიც მოახდენს მის განვითარებას და გამარტივებას. ზუსტად ეს ფაქტი განაპირობებს ონლაინ არბიტრაჟის უდიდეს პერსპექტივას მსოფლიო ბაზარზე, რადგან, როგორც უკვე ავღნიშნეთ „დრო ფულია“ და ონლაინ არბიტრაჟი არის ზუსტად ის მექანიზმი, რომელსაც შეუძლია უამრავი რესურსის დაზოგვა დავაში მონაწილე მხარეებიისთვის. დრო და დრო იხვეწება ონლაინ არბიტრაჟის გამოყენების ტექნიკა და ცალსახაა, რომ უამრავი უარყოფითი მხარე და ხარვეზი, რომელიც არსებობდა ონლაინ არბიტრაჟის ჩამოყალიბების საწყის ეტაპებზე, აღმოფხვრილია.

არ არსებობს იდეალური და სრულიად დავარცხნილი სისტემა, რომელსაც არ ექნება არანაირი უარყოფითი მხარე, მაგრამ ამ მხრივ მთავარია, იმ დადებითმა მხარეებმა, რომლებიც უნდა გააჩნდეს ამა თუ იმ სისტემას, მოახდინოს უარყოფითის კომპენსირება იმის ხარჯზე, რომ არსებულ სხვა მექანიზმებთან შედარებით იყოს უფრო ეფექტური. მხოლოდ სხვა არსებულზე უკეთესობა არ უნდა იყოს მწვერვალი და თვითკმაყოფილების გაჩენის წინაპირობა. მუდმივი პროგრესი აუცილებელია იმისათვის, რომ

შენარჩუნდეს კონკურენტუნარიანობა ბაზარზე და სამომავლოდ, პოტენციური განვითარების მეტი ამბიცია არსებობდეს.

მსოფლიო მიისწრაფვის ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების უსასრულო განვითარებისკენ, რაც ნებისმიერ ონლაინ სისტემას უქმნის პლატფორმას უსაზღვრო შესაძლებლობებისა. ზუსტად ეს განაპირობებს ონლაინ არბიტრაჟის პერსპექტიულ მომავალს და პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მის ერთ დონეზე გაჩერებას და განვითარების რესურსის არარსებობას. პირველ რიგში, ზუსტად ეს პროცესი არის საფუძველი იმისა, რომელიც აძლევს ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტს პერსპექტიული მომავლის გარანტიას. ბევრია დამოკიდებული არამხოლოდ ამ სისტემის შემოქმედებსა და იმ ხალხზე, ვინც წყვეტს არსებული დავების საბოლოო ბედს, არამედ მათზეც, ვინც არის ამ ინსტიტუტის მომხმარებელი, საჭიროა არსებობდეს საზოგადოებაში მეტი ინფორმაცია და სწრაფი განვითარების სურვილი, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ტექნოლოგიების შესწავლასა და მისი გამოყენების ათვისებას. დღევანდელობის ერთ-ერთი მნიშნველოვანი პრობლემა სწორად რომ ტექნოლოგიების გამოყენება და მათთან წვდომაა, რომელიც ერთ-ერთ უარყოფით მახასიათებლად გვევლინება ონლაინ არბიტრაჟის პროცესში, თუმცა ცალსახაა ის ფაქტიც, რომ ამ მხრივ პროცესი მიდის განვითარებისკენ და დღითიდღე უფრო მეტი ადამიანი ხდება კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის მომხმარებელი, რაც ნიშნავს მეტ პოტენციურ კლიენტს ონლაინ არბიტრაჟისთვის. საჭიროა დაუზოგავი შრომა იმისთვის, რომ საზოგადოებამ გაიგოს რა არის ონლაინ არბიტრაჟის არსი და რატომ არის იგი უპირატესი ტრადიციულ არბიტრაჟზე, გამოყენებული უნდა იქნეს არამხოლოდ ონლაინ, არამედ ტრადიციული რესურსები ინფორმაციის მიწოდებისა ამ თემასთან დაკავშირებით.

თუ გადავხედავთ ონლაინ არბიტრაჟის და ზოგადად ODR-ის განვითარების ეტაპებს სხვადასხვა ქვეყნებში, ვნახავთ, რომ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა ODR-ის ინსტიტუტის განვითარების შეფერხება დიდი დროით, რადგან არაფერია შეუძლებელი ტექნოლოგიების ეპოქაში, განვითარებისა და განათლების ძირითადი წინაპირობა ხომ სწორედ ინფორმაციის მიწოდება გახლავთ საზოგადოებისათვის და კაცობრიობას არ მოუგონია ინტერნეტზე უკეთესი მექანიზმი ამ პროცესისათვის. ინტერნეტის საზოგადოებაში ინტეგრირება იყო ინფორმაციული რევოლუცია მსოფლიოში და ასმაგად მარტივი გახდა ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოპოვება იმ ხალხის მიერ, ვისაც არ ქონდა მანამდე წვდომა მატერიალური სახით არსებული რესურსის მიმართ. მოგეხსენებათ, საკმაოდ შრომატევადს და ხშირად შეუძლებელს

ხდიდა ინტერნეტის არარსებობა წინა საუკუნეში ნებისმიერ საკითხთან მუშაობას, რომლის დროსაც საჭირო გახლდათ სხვადასხვა შინაარსისა და წარმომავლობის ინფორმაციის მოპოვება. ის ფაქტი, რომ არბიტრაჟი ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტია მსოფლიოში, მაგრამ მისი მომხმარებლების პროცენტული მაჩვენელი წარმოუდგენლად გაიზარდა სწორედ ინტერნეტის ეპოქაში ცხადყოფს ამ ყოველივეს.

ჩვენი სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების ათვისების პროცესში. მოგეხსენებათ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც სანოტარო სფეროში დანერგა ელექტრონული რეესტრის პრაქტიკა. ასევე კომპიუტერული ტექნოლოგიების ხარჯზე საკმაოდ დაიხვეწა საჯარო რეესტრის მომსახურება, მნიშვნელოვანია ის ძვრები, რომელსაც ქართული საზოგადოება ბლოკჩეინ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით ახორციელებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერი სახელმწიფოა ICT-ისა და არსებული სერვისების შერწყმისა.

ამ ყველაფრის ფონზე საქართველოში უკვე შეიმჩნევა ონლაინ არბიტრაჟის განვითარების ტენდენციებიც, მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ იურიდიული კომპანია "Dispute Resolution Center", რომელმაც ამა წლის იანვრის თვეში მომხმარებლებს შეთავაზა ონლაინ არბიტრაჟის სრული პაკეტი.

## XI. დასკვნა

ჩემი ნაშრომის მიზანი იყო მესაუბრა იმ გამოწვევებზე და ახალ შესაძლებლობებზე, რომლებიც ტექნოლოგიურმა განვითარებამ დააყენა დღის წესრიგში. განმეხილა ყველა ის დადებითი თუ უარყოფითი მახასიათებელი, რომელიც არის არსებითი მნიშვნელობის პოტენციური მომხმარებლისთვის და სწორედ ამ მახასიათებლების შესწავლის შედეგად უნდა გადაწყვიტოს კონკრეტულმა პირმა სურს თუ არა აღნიშნული სერვისით სარგებლობა. ვეცადე მაქსიმალურად წამომეწია წინა ფლანგზე ის უპირატესობები, რომლებიც გააჩნია ონლაინ არბიტრაჟის ინსტიტუტს და მკაფიოდ ჩამომეყალიბებინა აზრი იმის შესახებ, თუ რა სიკეთეების დანერგვა და რა რესურსის დაზოგვა შეუძლია დავის გადაწყვეტის ამ საშუალების დანერგვას ყოველდღიურ რეალობაში მომხმარებლებისთვის.

ნაშრომში წამოჭრილი საკითხების შესწავლით დგინდება, როგორია საერთაშორისო პრაქტიკა ონლაინ არბიტრაჟთან დაკავშირებით და რა

ტენდენციები და წინაპირობები არსებობს მისი განვითარებისთვის, ასევე განხილულ იქნა საერთაშორისო სტანდარტების და პრინციპების გაზიარების შესაძლებლობა საქართველოს ტერიტორიაზე და შედარებულ იქნა რამდენად ჰარმონიზებულია ჩვენ სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო რესურსი საერთაშორისო მარეგულირებელი აქტების პრინციპებთან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მწირი პრაქტიკიდან და ასევე, ლიტერატურის სიმცირიდან გამომდინარე, მაქსიმალურად შევეცადე მკითხველისთვის დამენახებინა, რა სახით უნდა მოხდეს საქართველოს ინტეგრირება საერთაშორისო კომერციულ ბაზარზე დავების განხილვის კუთხით და რისი მოტანა შეუძლია საქართველოსთვის ამ სერვისების განვითარებას, რას მიიღებს ქართული საზოგადოება ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიებთან კიდევ ერთი ნაბიჯით დაახლოების შედეგად და როგორ აისახება ეს ყველაფერი ზოგად ბიზნეს გარემოზე, იქნება ეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული დავა, საერთაშორისო ბაზარზე წარმოქმნილი სადავო საკითხი თუ ნიუ იორკის ხელმშეკვრელი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხები საქართველოში.

ონლაინ არბიტრაჟის მოხმარების პრაქტიკული საფეხურების შესწავლიდან გამომდინარე ვეცადე მეჩვენებინა თუ რატომ არის ეს საკითხი შესასწავლად საინტერესო და ინოვაციური ქართული კომერციული ბაზრისთვის, რა განასხვავებს მას მისი ტრადიციული ალტერნატივებისგან და არის თუ არა კონკურენტუნარიანი და უპირატესი სხვა მეთოდებთან მიმართებაში.

საბოლოო ჯამში, ნაშრომის მიზანი არის ინფორმაციული და კომუნიკაციების ტექნოლოგიების განვითარების შედეგად მიღებული სიკეთეების როლის ზრდა ქართულ რეალობაში. ვეცადე ჩემი ნაშრომი მექცია ერთგვარ გზამკვლევად აღნიშნული თემით დაინტერესებული პირებისთვის.

## ბიბლიოგრაფია


გამოყენებული საკანონმდებლო აქტები:

New York Convention - ნიო იურკის კონვენცია

UNCITRAL Model Law - გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიის მოდელური კანონი

European Convention of Human Rights - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

საქართველოს კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“

საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“

გამოყენებული ლიტერატურა:

Kori Clanton "We are not who we pretend to be: ODR alternatives to online impersonation statutes" 2014წ. Cardozo Journal of Conflict Resolution

Robert J Condlin “Online Dispute Resolution: Stinky, Repugnant, or Drab" (Francis King Carey School of Law Legal Studies Research Paper No 2016–40, University of Maryland, 2016წ.)

Thomas Schultz "Does Online Dispute Resolution Need Governmental Intervention? The Case for Architectures of Control and Trust" (2004წ.)

Ethan Katsh “ODR: A Look at History – A Few Thoughts About the Present and Some Speculation About the Future” in Mohamed S Abdel Wahab, Ethan Katsh and Daniel Rainey (Eds) Online Dispute Resolution: Theory and Practice. A Treatise on Technology and Dispute Resolution (Eleven International Publishers, The Hague, 2011წ.)

Davide Carneiro and others "Online dispute resolution: an artificial intelligence perspective" (2014წ.) 41(2) Artificial Intelligence Review

Derric Yeoh (Schellenberg Wittmer), "Is Online Dispute Resolution The Future of Alternative Dispute Resolution?" – Online Arbitration, 25 მარტი, 2015წ.

Farzaneh Badiei, Online Arbitration Definition and Its Distinctive Feature, Genève, Switzerland

Farzaneh Badiei, Georgia Institute of Technology, Using Online Arbitration in E-Commerce Disputes A Study on B2B, B2C and C2C Disputes, 2015წ.

Rafal Morek, Online Arbitration: Admissibility with the current legal framework.

HERRMANN Gerold, Some legal e-flections on online arbitration, in Law of international business and dispute settlement in the 21st century, Cologne, 2001წ.

LODDER R. Arno and VREESWIJK Gerard, Online arbitration services at a turning point, ICC International Court of Arbitration Bulletin, 2004წ.

BERNSTEIN Ronald, J. TACKABERRY John, and MARRIOTT L. Arthur, Handbook of Arbitration Practice (Sweet & Maxwell 3rd Ed.), 1998წ.

DAVIS G. Benjamin, Symposium Enhancing Worldwide Understanding through Online Dispute Resolution: Walking Along in the Mission, University of Toledo Law review, vol. 38, 2006წ.

HÖRNLE Julia, Online Dispute Resolution: the Emperor's New Clothes.

YU Hong-lin and NASIR Motassem, Can online arbitration exist within the traditional arbitration framework? Journal of International Arbitration, vol. 20, 2003წ.

Ott, Rachel "Online Dispute Resolution: Review of Initiatives Worldwide", Computer Fraud & Security, Volume 2000, Issue 5, მაისი, 2000წ.

Schultz, Kaufmann-Kohler, Langer, Bonnet, Online dispute resolutiuon.

Kaufmann-Kohler Gabrielle, Schultz, Online dispute resolution, United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ.

United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ.

St. John Sutton, David Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007წ.)

Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3

Thomas Schultz, Online Dispute Resolution

Farzaneh Badiei, Georgia Institute of Technology, Using Online Arbitration in E-Commerce Disputes A Study on B2B, B2C and C2C Disputes, 2015წ.

United Nations Conference on Trade and Development, International Commercial Arbitration, 5.9 Electronic Arbitartion, United Nations, New York and Geneva, 2003წ.

Schiavetta, Susan, "The Relationship Between e-ADR and Article 6 of the European Convention of Human Rights pursuant to the Case Law of the European Court of Human Rights" The Journal of Information, Law and Technology (JILT). 2004წ. (1).

Kaufmann-Kohler Gabrielle and Schultz, Online Dispute Resolution: Challenges.

Ponte, Lucille M. and Cavenagh, Tomas D. Cyberjustice Online Dispute Resolution (ODR) for E-Commerce. Pearson Prentice Hall, New Jersey, 2005წ.

Kaufmann-kohler Gabrielle, Online dispute resolution.

Kaufmann-kohler Gabrielle, Arbitral Precedent: Dream, Necessity or Excuse?

Hörnle J, "Disputes Solved in Cyberspace and the Rule of Law", 2001წ. (2) The Journal of Information, Law and Technology JILT)

Kessedjian, Catherine, Les mesures provisoires et conservatoires, 23 თებერვალი, 2010წ.

Kerr, Orin S., "Searches and Seizures in a Digital World" Harvard Law Review, Vol. 119, 2006წ.; GWU Law School Public Law, Research Paper #135.

Gabrielle Kaufmann-Kohler, Schultz, Thomas, Online dispute resolution.

Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007).

SCHULTZ, 'Online Arbitration: Binding or Non-Binding?

BENNETT C. Steven, Non-binding Arbitration: An Introduction, Dispute Resolution Journal, vol. 61, no. 2, 2006წ.

P. Cortes, Online Dispute Resolution For Comsumers in the European Union, Advantages and difficulties in using ODR.

Kaufmann-Kohler & Schultz (2004) 23; Shah (2004წ.) 20; Baumann (2002წ.) 1233; Rule (2002) 63–64; Wahab (2004წ.)

Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007)

Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3.

Conley Tyler & McPherson (2006წ.)

Joseph W. Goodman, THE PROS AND CONS OF ONLINE DISPUTE RESOLUTION: AN ASSESSMENT OF CYBER-MEDIATION WEBSITES

Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007)

Ljiljana Biukovic, International Commercial Arbitration in Cyberspace: Recent Developments, Northwestern Journal of International Law & Business, გამოშვება 3.

Armağan Ebru Bozkurt YÜKSEL, Online International Arbitration, Vol.4 No.1 (2007)

P. Pavlou & D. Gefen, 'Building Effective Online Marketplaces With Institution-Based Trust', Information Systems Research, Vol. 15, 2004წ.

Philippe, 'Where Is Everyone Going with Online Dispute Resolution (ODR)?', IBLJ/RDAI, Vol.13, 2002წ.

Thomas Schulz, 'Drive-Thru Arbitration in the Digital Age: Empowering Consumers Through Binding ODR',Baylor Law Review, Vol. 62, 2010წ.

L. Ponte & D. Cavenagh,Cyber Justice, Online Dispute Resolution for E-Commerce, Prentice HallPublishing, Upper Saddle River, 2004წ.

Thomas Schultz,Information Technology and Arbitration – A Practitioner's Guide, Vol. 21, Kluwer LawInternational, Alphen aan den Rijn, 2006წ.

J. Poudret & S. Besson,Comparative Law of International Arbitration, Sweet and Max-well, London, 2007წ.

HÖRNLE Julia, Cross-border Internet Dispute Resolution

ARSIC Jasna, International Commercial Arbitration on the Internet

St. John Sutton, David, Russel on Arbitration, London, 2007ϑ.

Ch. Ramberg, The law on auctions & exchanges online

WANG Fangfei Faye, Online Disputre Resolution: Technology Management and Legal Practice from an International Perspective, Chandos, Oxford (2009ϑ.)

HERBOCZKOVÁ Jana, Certain Aspects of Online Arbitration

Ponte & Cavenagh, On-Line Arbitration (2005ϑ.)

Wissler, Mediation and Adjudication in Small Claims Court: The Effects of Process and Case Characteristics, (1995ϑ.)

J. Hörnle Online Disputre Resolution in Business To Consumer E-commerce Transactions, (2002ϑ.).

Conley Tyler & Melissa and McPherson, Online Dispute Resolution and Family Disputes, Journal of Famili Studies, Vol. 12, #2, (2006ϑ.)

E. Clark, G. Cho & A.Hoyle, International Business Review, (2003ϑ.)

Gibbons, Kennedy & Gibbs, Cyber-Mediation: Computer-Mediated Communications, Medium Massaging the Message, New Mexico Law Review, Vol.32 (2002ϑ.)

Gillieron, Online Dispute Resolution for Consumers in the Eurepean Union, (2008ϑ.)